



ლიტერატურული მესხეთი

№4 (232)
აპრილი
2018 წელი
ფასი 40 თეთრი

გაგონების გიოცე წელი

"LITERTURULI MESKHETI"

"ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

თხზავიდან თხზვით დასუსული ზუსტი სპირიტუალური

ნათო ყრუაშვილი

პეტრე ხარისჭირაშვილის დამსახურება ქართველი ერის წინაშე განუზომელია. ის იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება უცხოეთის ცის ქვეშ გაატარეს არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სამშობლოს კეთილდღეობისთვის. ამიტომაც არის, რომ დღესაც მისი სახელი ასოცირდება ღირსეულ მამულიშვილობასთან. თავისი დამსახურების ნილ კი ქართველმა ერმა მრავალჯერს მიაგო პატივი.

პეტრე ხარისჭირაშვილს ცხოვრება-მოღვაწეობა ურთულეს პერიოდში – რუსიფიკატორული ხელისუფლების პერიოდში მოუხდა. ეს პერიოდი განსაკუთრებით გაუსაძლისი იყო ქართველ კათოლიკეთათვის. XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში და, განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთში ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა გაუარესდა. სომხურმა კათოლიკურმა ეკლესიამ გააძლიერა უსაფუძვლო ცილისწამება ისტორიულად ქართველ კათოლიკეთა არარსებობის შესახებ. რუსეთის მთავრობამ 1845 წლის დამდეგს საბოლოოდ გააძევა საქართველოში მყოფი მისიონერები. ქართველი კათოლიკე მრევლი მღვდლების გარეშე დარჩა. ამ დროიდან მათ ისტორიაში დაიწყო ახალი, კათოლიკობისთვის – ქართველობისთვის ბრძოლის პერიოდი. რადგან, რომა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულებით საფუძველზე საქართველოს ყველა კათოლიკე, როგორც ლათინური, ისე სომხურის წესის, ტირასპოლის ახალი ეპარქიის გამგეობას დაუქვემდებარეს. სომეხმა კათოლიკეებმა მიზნად დაისახეს დაპატრონებოდნენ საქართველოში არსებულ „ლათინურ“ ეკლესიებსა და მათ ქონებას. „უკანის ძალით აუკრძალეს ქართველ მორწმუნეებს ქართულ ენაზედ ლოცვა-ვედრება“. სამწუხაროდ, ქართველი სამღვდლოება ვერ აღმოჩნდა მონოდების სიმაღლეზე.

სამღვდლოების ერთი ნაწილი – პეტრე ხარისჭირაშვილის მეთაურობით, თვით მრევლი, ეროვნულ პოზიციებზე დარჩა და ყველანაირად ცდილობდა წინააღმდეგობა გაენია მონინალმდევისათვის. მან გადაწყვიტა დაეარსებინა ქართული ძმობა, რომელიც ქვეყანას მოუხმადედა ახალ პატრიოტულ ძალებს და ფეხზე დაყენებდა მას. თუცა მონინალმდევებმა ამ მიზნის სამშობლოში მისი განხორციელების საშუალება არ მისცეს. ამიტომ იგი 1857 წელს ოსმალეთში გადავიდა. მან რომის პაპის პიო IX-ის წარმომადგენლის – მთავარეპისკოპოსის ბრუნინის დახმარებით 1859 წელს მიიღო სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის შექმნის ნება ქართული ენითა და ტიპიკონით. იმავე წელს ცნობილი მეცენატის იაკობ ზუბალაშვილის ფინანსური დახმარებით სტამბოლის გარეუბანში – ფერიქოში შეიძინა მიწის მონრდელი ნაკვეთი, სადაც 1861 წელს ააშენა წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია. იმავე წელს ფერიქიის ძმობამ ოურიდიული ძალმოსილება მიიღო. პეტრე ხარისჭირაშვილის მზრუნველობით ფერიქოში, მამათა საგანის ახლოს, დაარსებული იქნა დედათა მონასტერიც.

მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ საგანეს მფარველობას უწევდა სტამბოლში არსებული საფრანგეთის საელჩო, რადგან ქართველი კათოლიკეები ფრანგული ტიპიკონით სარგებლობდნენ. საფრანგეთის საელ-

ჩომ შესწირა მათ უსკუდარში მინაც და საცხოვრებელი სახლებიც, რომელსაც ქართველები 1910 წლამდე ფლობდნენ.

ქართველ მამათა საზოგადოებას სკოლა და ეკლესია ჰქონდა აგრეთვე პერას უბანში – პაპასკევიში (ფაფაშეფურში), ეკლესია-მონასტერი და ქართული სტამბა დაარსა სამხრეთ საფრანგეთში – ქალაქ მონთიბანში, დედათა მონასტერი და სკოლა არსებობდა სტამბოლის ახლოს – დარდანელში. პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში ნორვალიცა და ქადაგება ქართულად სრულდებოდა, ხოლო ეკლესიებთან არსებულ სკოლებში დიდი წარმატება მან (მ. ფუტყარაძე, ქართული კულტურის კურს სტამბოლში, გვ. 57, 2002)

შეიძლება ითქვას, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ფერიქიის ქართველ კათოლიკე მამათა საგანის სახით შექმნა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ქრისტიანული ეკლესიის მძლავრი კერა, რომელსაც 1890 წლამდე თვითონ ხელმძღვანელოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ 1979 წლამდე საგანეს მართავდნენ მამათა მიერ არჩეული წინამძღვრები.



ამჟამინდელი მდგომარეობით იქ არსებობს საინტერესო მასალებით მდიდარი ფონდ-არქივი. იგი დარსებიდან დღემდე კვლავ რჩება ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად. ყოველივე ზემოთქმულისა, დღევანდელი გადასახედიდან, კიდევ უფრო მეტი ინტერესი ჩნდება პეტრე ხარისჭირაშვილის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ, მას შემდეგ, როდესაც მის თანამედროვეთა, მონაფეთა, ასევე მონაფეთა მოწაფეების მოგონებებს ვეცნობით, კერძოდ, საყურადღებო ფაქტებს გვანდინ ივანე გვარამაძე, ალფონს ხითარშივილი და პიო ბალიძე.

პეტრე ხარისჭირაშვილისა და ივანე გვარამაძის – მასწავლებლისა და მოსწავლის, ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის 50-იან წლებში. მას შემდეგ, რაც სწავლა დაასრულა რაბათის სამრევლო სკოლაში და 1854 წლიდან მიმგზავრება კონსტანტინოპოლში. მათი ურთიერთობა და თანამშრომლობა გაგრძელდა სიცოცხლის ბოლომდე.

პეტრე ხარისჭირაშვილი, როდესაც საზღვარგარეთ გაემგზავრა, მხოლოდ ერთადერთი მონაფე – ალფონს ხითარშივილი წაიყვანა. შემდეგ მათ შეუერთდნენ სხვა მონაფეები: ნებიერიძე, ივანე გვარამაძე და სტეფანე გიორგაძე ახალციხელები“ (ვახუტი „იმერეთი“, 1914: N101). ივანე გვარამაძე და მოხსენიებული პირები, მთავრობულად, მონასტრის პირველი მღვდლებია. ამასთანავე, ისინი იყვნენ ადამიანები, რომ-

ლებიც მხარში ედგნენ თავიანთ წინამძღვარს და მოიპოვებდნენ სასწრებს პატარა ეკლესიისა და მცირე საცხოვრებლის ასაშენებლად. მოგვიანებით საგანის წინამძღვარი პიო ბალიძე სანდრო სააკაშვილისადმი გაგზავნილ მოხსენებაში წერდა: „მამა პეტრე იმთავითვე თაქმდაბალი იყო, რო არ თაკოლობდა მათხორობას. ღმერთმაც აკურთხა მისი კეთილი განზრახვა. მალე ნაჩუქარ მიწაზე პატარა ეკლესია გაიშენა, მას გვერდით მიადგა მცირე საცხოვრებელი ბინა. მოდით მოვისმინოთ მისი ნათევაში: „აღილით სათხოვრათ გავდიოდი, საღამოთი მუშებს გავსწრებოდი“. აი, რა წვალებით ჩვენმა მოძღვარმა მოახერხა საკუთარი ბინის შექმნა, რომელსაც წელიწადში გაშენდა.“ (ს.ქ.კ.ს., 2009).

ივანე გვარამაძე, მასწავლებლის მსგავსად, დიდიან საღამომდე, სტამბოლის ქუჩებში, გულზე დაკიდებული წარწერით – „დამეძმარე“, მათხოვრობდა და მოიძვედა ეკლესიის ასაშენებელ სახსარს. ივანე გვარამაძეს მალე მოუწია კონსტანტინეპოლის დატოვება. ვფიქრობთ ეს შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო. თუ გავითვალისწინებთ მასშობლოში დაბრუნების შემდგომ მის აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და საგანესთან თანამშრომლობას, ადვილად საფიქრებელია, რომ მისი მშობლიურ კუთხეში დაბრუნება მამა პეტრესთან შეთანხმებითა და წინასწარ განჭვრეტით უნდა მომხდარიყო. ივანე გვარამაძის მეგვიდროების გაცნობა საშუალებას გვაძლევს დაინახოთ, რომ სწორედ სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ, ერთგვარად გარკვეული იდენტა და გეგმით შემზადებულმა, დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა და თავის გარემოში შემოიკრიბა ეროვნული მუხტის მქონე ყველა პირი – განურჩევლად რწმენისა და სოციალური მდგომარეობისა. მას თანამედროვენი „მესს განმანათლებლად“ მოიხსენიებენ. მესხური განმანათლებლობის მისიას ამ კუთხეში მცხოვრები სარწმუნოებრივად გათიშული ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილება, მათი კულტურული დანინაურება, განათლების გავრცელება და ეროვნული ნაწიყველებებისა და ტრადიციების შენარჩუნება-დაცვა წარმოადგენდა.

ამრიგად, ქართველ კათოლიკეთათვის ქართველობის შესანარჩუნებლად იღვწოდა ორი კერა: სტამბოლში – მამა პეტრე ხარისჭირაშვილის საგანე და სამცხე-ჯავახეთში – ივანე გვარამაძის გარემოში შემოკრებილი ეროვნული ძალები. მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ამ ორ კერას შორის იყო ურთიერთ-თანამშრომლობა. მათ ერთი მიზანი აერთიანებდათ.

სამშობლოში დაბრუნების მოუხედავად, ივანე გვარამაძის თანამშრომლობა საგანეში მყოფ ქართველ კათოლიკე მამებთან მისი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. როდესაც სტამბოლის საგანესთან ივანე გვარამაძის თანამშრომლობაზე ესაუბრობთ, უპირველესად, მხედველობაში გვაქვს პეტრე ხარისჭირაშვილთან მისი ურთიერთობა და თანამშრომლობა. როგორც მათი მიმონერიდან ჩანს, პეტრე ხარისჭირაშვილი ხშირად მიმართავდა მას, რომ ეთარგმნა სომხურენოვანი წიგნები და მაღალ შეფასებასაც აძლევდა მათ. ერთ-ერთ წერილში პეტრე ხარისჭირაშვილი მის მიერ სომხურიდან თარგმნილი სასულიერო ხასიათის წიგნის – „ჰოენლოის“ შესახებ წერდა: „ძლიერ მოგვეწონა ეს თარგმანი,

პეტრე ხარისჭირაშვილი - 200



„ამ საგანეში ყოველიფერი საქართველოს მოგავონებს... უცხოეთში გამდმოტყორცნილო ქართველო, რა რწმენისა და მისწრაფებისა გინდა იყო, მოდი ამ საგანეში... სულით განახლებული წადი, ქართველო, და ჩაები ცხოვრების ტალღებში... შენ თუ არა, შენი შვილი ან შვილის-შვილი მაინც ნახავს ბრწყინვალე ხანას საქართველოსას და ქართველი ხალხისას.“
ეჟენ დალეჟო დალეისიო

გაბრძილება მე-5 გვ. ▶

გასიქ კაკალიკა

(გაგრძელება. დასაწყ. წინა ნომერში)

ავთანდილის გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს, სასაფლაოდან როცა დაბრუნდნენ, ნუცამ მეზობლების მოტანილი შემით ლუმელი დაანთო, შემდეგ მაგიდა გაანყო და ბავშვებს სადილად უხმო, თავად კი, თეკლესთან ერთად, მეუღლის დაწურული თავკვერით მისი შესანდობარი შესვა. თამარს ლუკმა არ გადასდიოდა. თავჩაღუნული საკუთარ თეფშს ჩაჰკირკიტებდა და თითებით მჭადს ნამკეციტებს აცლიდა.

– დედიკო, ჭამე, – ნუცა გვერდით მიუჯდა და თავზე ხელი გადაუსვა.

– არ მინდა, – დარდისაგან გათელილიმა გოგონამ მათლაფას ხელი გაჰკრა.

– არა, დედიკო, ასე არაფერი გამოვა, ისე უნდა იცხოვრო, როგორც მამას უნდოდა და გაუხარდებოდა. ორმოცი დღე მისი სული აქ, ამ ოჯახში ტრიალებს, ყველაფერი ესმის და ყველაფერს ხედავს, ამიტომ, ჩვენი საქციელით, იგი უნდა გავახაროთ, – ნუცას ცრემლი მოაწვავდა, თამარს მზერა აარდა და ფანჯარასთან მდგომ მულს მიმართა:

– თეკლე, მოდი, ჩვენც ვისადილოთ.

– მართალი ხარ, – ქალმა ძალდატანებით გაიღიმა და მაგიდას მიუჯდა.

– თამუნა, დედა მართალს გელაპარაკება, ზედმეტი მწუხარება, ტირილი, ავთოს სულს ამძიმებს და ჩვენ ყველანი ვალდებული ვართ ისე ვიცხოვროთ, როგორც მას გაუხარდებოდა, – ქვაბ-ქოთნიდან ლობიო გადმოიღო და მათლაფაში მჭადის ნატეხები ჩაიყარა.

– ხვალდან შენ და ნინიკო სკოლაშიც წახვალთ, – ნუცა ისევ მიეფერა ქალიშვილს და მაგალითის მისაცემად მჭადი მოიტეხა, – თეკლე, შენც სახლში დაბრუნდი, ქმარშვილს მიხედე.

– კარგი, – უპასუხა მულმა. დღე პეშვში დაგროვილი წყალივით დარდგაუქარვებლად მიილია. მთელი ოჯახი ენაშენახული, კრინტი გაულებლად ლუმელს მიჯდომოდა. თამარს ყველასთვის ზურგი შეექცია და ღამის საბნელეს სარკმლიდან შეჰყურებდა.

– თამუნა, დაჯექი, გათბი, – დაუძახა ნუცამ.

– არ მინდა, – ბავშვმა ისე უპასუხა, არც შემობრუნებულა, – თეთროს ველოდები, იქნებ მოვიდეს, ძალიან მომეწონება, – შეორთქლილ მინას ხელი გაუსვა და ფანჯრის რაფას დაეყრდნო.

– ეჰ, დედიკო, თეთროს ვინ გამოუმეგებს, – სინანულით ჩაილაპარაკა ქალმა, – რომც მოვიდეს, მაინც წაიყვანენ, თან ძალიან მეცოდება, ის არაკაცი როგორ სცემს და მხეცივით ექცევა. ოთარის სვენებაზე თამარს გააფრთხოლა, კანკალმა აიტანა. ნელში გასწორდა, მთელი სხეული ვერხვის ფოთოლივით უცახცახებდა, თავს ვეღარ ერეოდა. მისი ასეთი მდგომარეობა მშობელს რომ არ შეემჩნია, შემობრუნდა:

– მე წავალ, დავიძინებ, – საძინებელი ოთახისკენ გადააბიჯა. ნუცამ ნანა და ვაჟა წამოაყენა და თამარს უკან გაჰყენენ. ბავშვები დაანწინა, ძილი ნებისა უსურვა და ლუმელთან დაბრუნდა. თეკლე სკამის საზურგეს მიყრდნობოდა, თავი უკან გადაეგდო და ჭერს ისე მიფიცხებოდა, თითქოს იქიდან მზე ანათებდა და გარუჯვას ღამობდა. შორიდან სროლის, ცხენების თქარათქურისა და ვილაცების ლანძღვა-თრევის ხმები ისმოდა.

– ვინც რამეს წარმოადგენდა, ამ ნაგვებმა ყველა გაუფრთხა, – გადაულაპარაკა თეკლეს და ჩამოჯდა, – ვის ხელში ვართ, რა დავაშავეთ? საცოდავი ავთო, – ცრემლიანი ღანჩი თავმლის ბოლოთი შეიმშრალა.

– რა დავუშავეთ და ჩვენზე შურით მთელი ცხოვრება გულმუცელი ეწვოდათ და ახლა ყველაფერს იმიზეზებენ, რათა გავგაჩინავო, მინასთან გავგასწორონ. იმ კაცუნა ლენინმა მეფეს და მის ოჯახს ძმის სიკვდილი არ აპატია, თაღლითებისა და გრომ-კაპიკად უღირალი ხალხის ხელით ქვეყანა თავზე დაგვამხო, რომანოვები კი ალგავა პირისაგან მინისა. მშვიერი ძალღებავით შეესიენ საუკუნეებით ნაშენებ სიმღერებს და უნამუსოდ ისაკუთრებენ.

– უღმერთოები, – ნუცამ მხარი აუბა. ქალები ჩაფიქრდნენ, ყოველ ქარბუქსა და გრივალზე ღონიერი და დაუნდობელი სიჩუმე ჩამოვარდა. სული აღვარცოვებულ, გაშმაგებულ მთის მდინარეს დამსგავსებოდათ, რომელიც სხეულის შიგნით უდღუღდათ, ბობოქრობდა, მოდიოდა და მოჰქონდა ნალექის, დარდისა და ტკივილის ვეება ზვირთები.

– ეჰ, არ დავწვით? – დუმილი თეკლემ დაარღვია.

– მე თამუნას მივუწვები, რაც ბავშვმა ნახა და გადაიტანა, ჭკუაზე არ არის, დედა მოუკვდეს, – წამოდგა ნუცა, ჭრაქი აიღო და თეკლე სანოლამდე მიაცილა, – ღამე მშვიდობისა უსურვა და ბავშვების საძინებელ ოთახში შევიდა. ყველაზე ადრე ვაჟას გამოეღვიძა, დედას რამდენჯერმე დაუძახა.

– ჰა? – ნამძინარევი სანოლზე წამოჯდა ნუცა, – ვაჟიკო, ინექი, ლუმელს ავანთებ, ცოტათი დათბეს და მერე ჩაგაცმე, – ხალათი ნაჩქარევად მოიცვა და ცეცხლის დასანთებად ოთახიდან გავიდა. როდესაც ლუმელი ააგუზგუზა, გოგონები გამოადვიდა და ვაჟიშვილს ჩააცვა. მამის უბედურებამ შვილებს ბავშვობა ძალზე ადრე წაართვა, დაპატარავებულ დიდებულ აქცია. დედას, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ყველაფერს უჯერებდნენ, გამუდმებით თვალეზმის შესცივინებდნენ, რათა ისედაც გამწარებული ქალი, ზედმეტად აღარ გაეღიზიანებინათ. ოჯახიდან გამოსული ჩვეული ფივილ-ხივილისა, სიცილ-კისკისისა და სიხარულით აღსავსე ხმები მკაცრმა პერიოდმა სადღაც გადაკარგულში წაარონინა და მოგონებებად აქცია. მუნჯებით ისაუზმეს. გოგონებმა სკოლის ჩანთები ჩაალაგეს და ყველანი ეზოში გავიდნენ. თეკლე სახლამდე მიაცილეს და სკოლის გზას გაუყვანენ. ნუცამ თამარი და ნანა კლასის დამრიგებლებს სათითაოდ ჩააბარა, ვაჟა ხელში აიყვანა, მიიხუტა და შენობიდან გამოვიდა. ზამთრის პირველ დღეს ცაზე მორუხო-მოშაგო ღრუბელთა აღლუმით მოეწყო, ისედაც ძალადაკარგული მზისთვის სარბიელი მოესპო და ნუცას ხასიათით გაცუდებულ იყო. ლეხურის ხეობიდან ცივი ნაივი უსაქმოდ დაეხეტებოდა, დასისინებდა და ზამთრის დადგომას ზემობდა. ქალმა ბიჭს ქუდი გაუსწორა, ყელზე შემოხვეული შალის მოსახვევი აუწია, გულში ჩაიკრა და გზა განაგრძო. როცა სოფლის მოედანზე გავიდნენ, ვაჟამ ხელი გაიმშვირა:

– დედიკო, თეთრო! – მიახედა მშობელი. ნუცამ დაინახა, რომ ოდესღაც მათი ულაყის ზურგზე მოქცეული, ნაბადმოვებული, მხარზე კარაბინგადაკიდებული, თავზე ქუდჩამოფხატული ოთარი მათკენ მოემართებოდა.

– ფუი, ეშმაკს, – ღვარძლიანად ჩაილაპარაკა და ფეხს აუჩქარა. დედა-შვილს თეთრო მხარში ამოუდგა და მისალმებასავით დაიჭიხინა. ოთარმა ლაგამი მოზიდა, ცხენი შეაჩერა და ჩამოქეითდა:

– ბიჭუნა, გინდა დავსვა? ვაჟას საყვარელ ცხენზე დაჯდომას არაფერი ერჩივნა, მაგრამ თავი შეიკავა, დედას ლოყა მიადო და ხმა არ გასცა.

– ბიჭუნა, არ გინდა ცხენზე შეჯდომა? – რიხიანად გაუმეორა ოთარმა.

– არა, არ უნდა! – ნუცამ გულ-

ზიზიანად უპასუხა და მიმართულეზა იცვალა. მამაკაცი გვერდიდან არ შორდებოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩრდილივით ასდევნებოდა.

– რა გინდა, თავი დაგვანებე! – შემცბარი ხმით მიმართა ნუცამ და თეკლეს სახლისკენ აუჩქარა ნაბიჯს. ოთარმა ჭიჭიკრამდე მიაცილა:

– საქმე მაქვს, უნდა დავგეღავრაკო! – ღომილნარევი ტუჩებიდან გამოცრა, ცხენზე შეჯდა, დეზი ჰკრა, მაგრამ თეთრომ მათი მიტოვება არ ისურვა და მხედარს გაუძალიანდა, – შე სამგლე! – გამეტებით გადაუჭირა მათარხი, ულაყი ყალყზე დადგა. როდესაც რამდენჯერმე კიდევ გადამოლტა, სიმწრით დაიხვიხვირა და სვლა იწყო.

– არამზადა, – სიტყვა დაადგე-

გადააბიჯეს. ორივეს ეტყობოდა, რომ საკმაოდ შეზარხოშებულები იყვნენ.

– საქმე გვაქვს, სად დავსხდეთ? – იკითხა შოთამ. ხმაურზე თეკლე სამზარეულოდან გამოვიდა:

– უი, – უნებურად აღმოხდა.

– თქვენ გეკითხებით, სად დავსხდეთ?! – შოთამ ტონი გაამკაცრა. ნუცა ენაჩაგარდნილი, ფერნასული იდგა და დაბნეულობისაგან რა ეპასუხა, არ იცოდა. თეკლემ ღრმად ამოისუნთქა და დაუპატიჟებელ სტუმრებს მიმართა:

– რა მოხდა?

– სალაპარაკო გვაქვს, – ახლა ოთარმა ამოღერდა და პირიდან არყის უსიამოვნო სუნის ამოუშვა. თეკლეს არაფერი უპასუხია, სახეზე ზიზილი აღებეჭდა, ნუცას ხელ-

თქმა იწყო:

– ნუცა, ჩვენ ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს, მამარჩემი მამაშენს მოჯამაგირედ ედგა და...

– გათორით აქედან! – ქალმა დაიკვირა, ბოთლს ხელი გაჰკრა, ძირს გადმოაგდო, შემდეგ ორივე ხელის გული ყურებზე აიფარა და ისევ დაიხავლა, – აქაურობას მოშორდით, თქვენ ნადირლებო! – ისეთი გამწარებული ატირდა, რომ თეკლემ მისი სახე ხელეზმით მოიქცია და მიიხუტა.

– გავგანებეთ თავი, ვინ ოხრები ხართ! – ახლა მან დაინვილა. აყალ-მაყალზე ბავშვებმა ცხენს თავი ანებეს, სახლში შეცვივდნენ და ნახევრად შემოიღობელს შემოეხვივნენ.

– ადექი, ოთარ, დღეს არაფერი გამოვა, – წამოდგა შოთამ. დახელებული სირჩა გამოცალა. გულანური ჩაბლუჯა და იატაკზე სრიალით კარისკენ გაიყოლა. ოთარმაც გადახუხა, ნაბადს დასწვდა და მეგობარს აედევნა:

– მე მაინც მოვალ! – ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა და ბინიდან გავიდა. ნუცა კანკალმა აიტანა, თავს ვეღარ თოკავდა, ცრემლად იღვრებოდა. თეკლემ წყალი მოუტანა, ხელზე დაისხა და სახეზე მოუსვა:

– დაწყნარდი, თავს მიხედე,

თეთრო

ვუძღვნი საბჭოეთის პერიოდში ზვარაკად შენიღული, უდანაშაულო ხალხის ხსოვნას



ნა ნუცამ. აღმფოთებულმა თეკლეს ყველაფერი მოუყვა.

– არა, შენი მარტო დატოვება არ იქნება, ისევ შენთან ვაბდომავალ, – ჩაფიქრდა ქალი, – კი, მაგრამ რა საქმე უნდა ჰქონდეს?

– არ ვიცი, მაგ ნადირალას რა უნდა ვუყუო, მარტო ქალი როგორ უნდა მოვერიო?! – ცრემლი მოანვა ნუცას.

– ჩემი ქმარი შეშის მოსატანად ტყეში წავიდა, როდესაც უკან დაბრუნდება, სახლში წამოგყვები, შენთან ვიქნები, მარტო ცოდო ხარ.

ნუცას არაფერი უპასუხია, გული ისე უთრთოდა, თითქოს საგულედან ამოვარდნას ღამობსო. ლევანი ტყიდან მალე მობრუნდა. თეკლემ მდგომარეობა აუხსნა, თბილი ტანსაცმელი შულდაკში ჩაილაგა და ნუცას გაჰყვა. მუდლის შემდეგ გოგონებიც სკოლიდან დაბრუნდნენ. დასახლისმა ყველანი ასადილა და ქალიშვილებს გაკვეთილების სამეცადინოდ მიუჯდა. კარებზე ვილაცამ დააბრახუნა.

ბინაში მყოფთ შიშის ოფლმა დაასხა. ნუცა წამოდგა, თავს ძალა დაატანა და დერეფანში გავიდა. კარი გამოაღო, მის წინ ოთარი და შოთა იდგნენ. ქალი შეტორტმანდა, რომ არ ნაქცეულიყო, კედელს ხელით მიეყრდნო. მამაკაცებს არაფერი უთქვამთ, ზღურბლს უკითხავად

კავი გაუყარა და ლუმელთან მიიყვანა. მილიციელები უკან მიჰყვანენ. შოთამ ჭუჭყში გაზინტლული გულანური გაიხანდა და იქვე მიაგდო. ოთარმა ნაბადი მხრებიდან გადაიძრო, სკამი მოინია და ისე ჩამოჯდა, რომ ნუცას გულამშიერივით მიშტერებოდა. ოთახში ბავშვები შემოვალდნენ და დედას აქეთ-იქიდან ამოუდგნენ.

– თქვენ გადით და ცხენს რამე ჩააცვიტლეთ, თორემ ჩემს მიტანილს არაფერს ხეთქავს. ისე ჩამოხბა, ძლივს დადის, ფერდები ჩაუცვივდა და თუ არ ივარგა, ხომ იცით, ბოლოს მოვუღებ, ძალეების ულუფა გახდება.

შიშმა თუ თეთროს მონატრებამ სამივე ეზოში გაიყვანა. ამჯერად ულაყის მოფერებას არავინ უშლიდა. ბავშვებმა ცხენის ალერსით გული იჯერეს, შემდეგ თამარმა ხის ჯამით შერია გამოუტანა და წინ დაუდგა. როგორც მწყურვალი წყალს, ისე დაენახა თეთრო მარცვლეულს.

შოთამ გულანურის ჯიბიდან საიათი ხასვე ბოთლი ამოიღო, მაგიდაზე დადგა, განჯინიდან არყის ორი სირჩა გამოიღო და გაალიცლიცა. ერთი სასმისი ოთარს მიანოდა. მღვრიე, არეული თვალებით ქალებს შეაშტერდა, ამაზრუნდა ჩაიქირქილა და სადღეგრძელოს

ბავშვები შეიცოდენ, – რამდენიმე ყლუპი დაალევიან.

– კაცის თავზე ხე არ იყო და ხეც ამოვიდაო, – სახე გაიმშრალა ნუცამ, – რა უნდათ ჩემგან? სად წავიდე, სად გადავიკარგო?

– ბავშვებს ხელი მოკიდე და ჩემთან გადმოდი. ამ არაკაცებს ლევანის მოერიდებათ, ამდენს ვერ გაბედავენ.

– ამათ ლევანისა კი არა, მამა ღმერთისაც არ ერიდებათ.

– არა, არა, იქ მამას ვერ იკადრებენ. ადექი, – თეკლემ წამოაყენა, – ბავშვების ჩაცმაში დაგეხმარები, ბარგი-ბარხანა აიღე და დროზე წავიდე.

ქალებს ხელში რაც მოხვდათ, ხალა-უფადში ჩაყარეს, პატარებს ხელი ჩაავლეს და სახლიდან გავიდნენ. თეკლე სულ აქეთ-იქით იყურებოდა, ვინმე ხომ არ მოგვედგოს. როდესაც ადგილზე მშვიდობით მივიდნენ, შვებით ამოისუნთქეს.

– აი, აქ მოეწყვით, – თეკლემ ოთახში შეიყვანა ნუცა, – ოთხივენი დაეკვიტით.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩემო თეკლე, – მადლიერების ნიშნად ნუცამ მული გადაკოცნა.

– ახლა ვივარდით, დამეხმარე მაგიდა გავანყოთ. სანამ ქალები მაგიდასთან ტრი-



ვლადიმერ ველიჯანაშვილი

ვლადიმერ ველიჯანაშვილი, სამშობლოზე, მშობლიურ მხარეზე უსაზღვროდ შეყვარებული, სიღარბისლითა და ნიჭიერებით გამორჩეული მესხი კაცია, მან ცხოვრების დიდი და საინტერესო გზა განვლო, რომელსაც თავისი საყვარელი პროფესიისათვის არასოდეს უღალატია, არასოდეს არ გადაუხვევია არჩეული გზიდან, არასოდეს არ უბრძოლია მაღალი თანამდებობისათვის. მისი კარიერა მხოლოდ ერთი – სამშობლოსათვის ღირსეული მომავალი თაობების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა.

რამდენიმე ათეული წლის წინ, წარმოშობით ხიზაბაზრელმა ახალგაზრდამ, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ადგილის რაიონს დაუკავშირა, მის ერთ-ერთ უღალატეს სოფელ ფხვროში დამკვიდრდა და პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა. ამასთან, დიდი ხანია რაც ამავე სკოლის დირექტორიცაა და წარმატებით ართმევს თავს ამ მეტად რთულსა და საპატიო საქმეს.

ვლადიმერ ველიჯანაშვილი ბავშვობიდან ეზიარა პოეზიის მაღალს. მისი შემოქმე-



ვლადიმერ ველიჯანაშვილი პატრიოტული სულისკვეთებითაა გაჟღერებული.

ბატონ ვლადიმერის ლექსების დიდი ნაწილი დაბეჭდილია ქართულ პერიოდულ

პრესაში და დიდი აღიარება მოიპოვა. მრავალთაგან ერთ-ერთი მისი ლექსი „მგელი“ კი თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ, რომელიც მონაწილე ცხოვრებას არასოდეს ეგუება, თუნდაც მარადიულად სხვისი სამიზნე იყოს.

პოეტის შემოქმედებითი ნიჭის აღიარებაა ისიც, რომ გასულ წელს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მიერ გამოცხადებულ ტრადიციულ ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა და კიდევ ერთხელ განიმტკიცა თავისი ღირსეული ადგილი ქართულ მწერლობაში.

ახლახან ბატონ ვლადიმერს 75 წელი შეუსრულდა. გაზეთის რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ჭარმაგ პოეტს საიუბილეო თარიღს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს, ძალასა და ენერჯიას, რათა კიდევ მრავალი ლექსით გაეხარებინოს თავისი თაყვანისმცემლები.

აქვე გთავაზობთ პოეტის ბოლოდროინდელ ლექსებს.

სამანდილ ბერიძე

ყვავილობს კანქვეშ
მზერავი ფითრი,
ისევ გვერდით გვყავს
შმაგი და ფლიდი,
ისევ იღვიძებს, დღეს ისევ
გვიტორის
ცუდს თუ რაიმეს
დროდადრო ვშლიდით.

როს ვედებოდით ყორეს და ლობეს,
ეჭვით ვუცქერდით ჭერსა თუ
თამალს,
ყურს არ ვუგდებდით სიკეთის
მთხრობელს
ჩვენს ტანჯულს დედას: ნინოს
და თამარს.

გვირბაბებს კლდეში ვჭრიდით
და ვთხრიდით,
ცის ნაცვლად თავზე ვიდებდით
ფარებს,
დღეს ჩაღის ფასად ვყიდით
და ვყიდით
ყველაფერს: ნარსულს, ანწყოს
და ხვალეს.

ხვალ კიდევ ბევრი სისინი გველის,
ამ მიწის მტვერსაც
თავისკენ ჰგვიან,
გამოგვაფხიზლებს სისინი
გველის,
მაგრამ ვით მაღლი, იქნება გვიან!

მესხის ნაამზონი

კარაპან მქონდა პირლია
მუდამ სტუმართა მდომელი,
შიგნ დერეფანი, – მითქვია
მტერთაგან მიუდგომელი.
გულით თუ შიში დაქონდა
ისევ ჩემივე ტომელის,
გვერდით თუ ვინმე აქორდა
ჩემივ კარაპანის მგომბელი...
იყო, სხვა ნდომა არ ჰქონდა
სისხლთაგან განუყოფელი,
ჟამი-ჟამ ჩუმად მიჰქონდა
ჩემი დაბა და სოფელი.
ფერი ნოხთა და ფარდაგთა
გულში რაც კი რამ იმისნო,
მქონდა, რაც შემდეგ არ დამხვდა
ჩემოვ, შენო და იმისნო.
თუ არა შიგან მყოფელსა
უცხოს ვინ მისცა იმის შნო,
გაიგოს რა სურს სოფელსა,
როგორც არ უნდა იმისნოს.
არასდროს არ ვფეთდებოდი,
ვინ, სად და როგორ უმიზნოს,
სულ მუდამ ფხიზლად ვხედებოდი
ურიგოსა და უვიზოს,
თუმც მუდამ ვიყავ სამიზნე
თურქთა, სპარსთა და არაბთა,
და რაც კი ღვარძლი მარისხეს,
ესხა კართა და დარაბთა.
ვერ მისწვდა სავესე ტაბლასა,
ვინც რალაც ჟამით დახანდა,
არვინ მიუშვი თავლასა
ვინც რაიმეთი დახარბდა.
არ ჰქონდა ჩემს თვალს მუდარა
მტერი თუ სადმე დალანდა,
სიმრავლე მქონდა მუდამა
გარეთ ქვევრთა და დარანთა.
სხვა რამ არ მქონდა მიზანი,
არ მაკლდა მოსვლა აღანთა,
ყოველთვის მესხა ხიზანი –
ხიზას, ბავრას და ბალანთას,
ვინც კი ისარი მესროლა

ბედად არცერთი არ ამცდა,
როდის ვყოფილვარ მე სრულად
არა, არადა, არ ამცდა...
არა ყოფილა სასხვისო
ჩემი ერდო და დარბაზი,
არ ვიცი ვინ რა მიმისნო
ზადენითა და არმაზით.
შენ გაკვირვებით მეტყოდი,
აქამდე როგორ გაქელი,
ჩემი პასუხი არ არის
არც ახალი და არც ძველი.
სულ მუდამ ხვავით მავსებდა
ჩემი ერდო და საბძელი.
შორეთის ლოცვა მიძლოდა
წინ, ყველგან, სადაც გავერდი,
სადაც წავედი მიხმობდა –
შორეთით შორეთს გავეცქერდი
და დედაბოძად დარბაზში
მედგა სულ მუდამ ხე თვისი,
ერდოზე მქონდა კალო და
საბძელს ვავსებდი ხელთ თვისით
და ჩემს სიმშვიდეს იცავდა
ჩემი თმოგვი და ხერთვისი.

არაფრის თქმაც ხომ
ცოდვია,
თქმა -
სინათლეა ცისთვის,
არაფრის ცოდნაც
ცოდნაა,
თუმც გააჩნია ვისთვის.

როცა სიტყვებს ცრი თავქვე
და ღიმილს უხვად აკმევ,
სიტყვა არ არის საქმე,
მხოლოდ
საქმეა საქმე.

სიკვდილო ჩემთან ვალში ხარ,
მეცა ვარ შენი მევალე,
სამყაროს უძღვებ კანონებს
ვერცერთი ვერ დავემალეთ.

ასე, ადვილად
ნუ მთხოვ,
ვერ დავთმობ,
ამ ალეღვებულ
სულის სიმღერებს.

რა საჭიროა,
რა საჭირო
ლოდინი, განსჯა.

სანამებელი
უმცირესიც
უნდა ვინამო.

შენ ყველაფერი
მომეცი,
რის ღირსადაც
მიცან
შემოქმედო!

როცა აქა ხარ
არაფერიც ყველაფერია,
როცა აქ არ ხარ
ყველაფერიც არაფერია.

ზოგჯერ დუმილით
უფრო მეტს ვამბობთ,
დუმილი
სიბრძნის საბუღარია.

ვიცი
ამ ტკივილს
თუ გავუძელი
სიკვდილი
ალარ დამელოდება.

დარდი გვაცეკვებდა
დარდი გვაშრომებდა
დარდი გვაბრძოლებდა
მუდამ.

გადასადგებდა
ენის წვერზე შემომჯდარ
სიტყვას,
როდემდე შევძლებ
გავუფრთხილდე,
როდემდე შევძლებ.

რომ წამოდგე
უნდა დაეცე,
თუ არ დაეცი
ვერ წამოდგები.

სიკვდილი რომ
სანატრელი იყოს,
თვითონ სიკვდილი
ინატრებდა
საკუთარ სიკვდილს.

სიმართლევ,
როგორი ტკბილი არ უნდა იყო,
ზოგჯერ ტყუილზე მწარე ხარ,
ჰო, შენ,
უტკბილესო სიმართლევ.

ექვი ყოველთვის
ახლავს სიყვარულს,
როგორც თოლიას
ზღვის მღელვარება.

ცოდვა და მაღლი
ყველგან და ყოველთვის
გვხვდება,
ჩვენ, გააჩნია,
რომელს ავირჩევთ.

შეუცვლელი
მხოლოდ ღმერთია,
ღმერთის ღმერთი
არ არსებობს.

შენი სიცრუით
თუ დავიწვები,
უფრო ბევრის გულს
მოვიწადინებ.

პოეტის შიში

ვაი თუ ლექსი დაწერო ველარ
ისეთი, დიდხანს გაუძლოს
დროჟამს,
ვაი თუ ჩემზე, სადაც მე ვდგავარ,
ვიღაცა ისეთ რალაცას რომავს.
ვაი თუ, ახდეს პოეტის შიში,
როგორც რიგია და როგორც წესი,
უცებ დააკლდეს ამ სულის
შიშილს
მოუსყიდველი თუნდ ერთი ხემსიცი.
ვაი თუ, ველარ მესიზმრო ანი,
ველარც კი ვიგრძნო წარსულის
თრთოლვა,
ვიღაცის მესმის, – დროაო, ასნით!
სანამდის მოვა წვიმა და თოვა.
ნეტავი მალე მოედოს ბოლო
ამ უთავბოლო დავლავს და
ვიშვიშს,

ახლა ნამდვილად ეკუთვნის სოლო,
პოეტის სულის უსაზღვრო
შიშილს...
ჯერ მოუსვლელი ვაი და ვიში
არ მესმის მე და ორივე ხელს ვშლი,
თუმც უცოდველი პოეტის შიში
ვიცი დღედაღამ დიდგულობს
ჩემში.
მომძალბება ფიქრი დაღლილი,
მოფარებული ფარდაგს და
ჭილობს,
მე დაბმული ვარ ახლა ძალივით
და ლოკვით ჯაჭვის
განყვეტას ვცდილობ.

მაშინ, როდესაც ვენება ინვოდა,
როცა გრძნობები თრთოდა
ლადარში,
შენს მეტმა ალბათ, არვინ იცოდა,
ვით გავუძელი, როგორ გადავჩრი,
რომ შენი ეშხი არ შემებლალა,
მე კარგად მახსოვს დღევ
და თარიღიც,
ო, თვით ჩემს სულსაც, რომ არ
ებლავლა
ხანჯალ დაღერილ მორჩილ
ხარივით.

საქართველოს სჭირდება

როცა სისხლი დარეკავს,
როცა აზრი დარეკავს,
ასრულდება მიზნები
აუხდენელ მითების,
ყველა ჯურის გარეწარს
ყველა შამბს და ნარეკალს
გადავთიბავთ, გადავხნავთ,
გულზე გულის მიდებით.
ვერ დავუშვებთ ვერასდროს, –
ჩვენი მიწა მცირდება,
არ დავუშვებთ, არ დავთმობთ,
მამა-პაპის ბჭის კარი,
საქართველოს სჭირდება...
საქართველოს სჭირდება,
საქართველოს სჭირდება
ფხვზე ვიდგეთ ღვთის ძალით.
არვინ გვითხრას – დაწყნარდით,
ვერ ვიქნებით გულმშვიდად.
სანამ ვფხიზლობთ,
სამების სანამ ზარი დარეკავს,
პაპის პაპის პაპებმა
ვით იცოდნენ უშიშრად,
არ დავუდგეთ დარაჯად
ჩვენი ქვეყნის გარე კარს?!
მწამს გული გვეტკინება
და თუ სულმაც ინება,
გრძნობაც გადაფითრდება,
რომ დავიცვათ ბჭის კარი
საქართველოს სჭირდება,
საქართველოს სჭირდება,
საქართველოს სჭირდება,
ზე აღმასვლის ცისკარი.





ამრიგად, ევროატლანტიკური კორპორაციის ფორმირება მოცხადებული აგრესიის და ქალების დამოუკიდებლობის მიხედვით აღიქმება. დასავლეთში ფემინისტური რევოლუციებიდან გამომდინარე, სახარმოს მებატონე, ანდა მენჯერი, ქალ თანამშრომელთან მართო საუბარს ერიდება. თუ სამსახურებრივ საქმეზე ასეთი შეხვედრა შედეგება, მაშინ აუდიენციას მონაწილე უნდა ესწრებოდეს. სხვა შემთხვევაში, შეიძლება დადანიშნულდეს სექსუალური ძალადობაში და კარიერას დაემშვიდობოს.

ანშემო ჩატარებული „ევროატლანტიკური სიკეთების“ გარდა, „ჩემი ომის“ დახმარებით, „ევროატლანტიკური“ ხალხის მომავალზეც ზრუნავენ. „მოყვარად მოსულმა“ მტერმა ბევრი ეცადა, მაგრამ დღეისათვის საჭიროს უფლო ტრადიციებსა და რიტუალებს ვერაფერი დააკლო. როგორც ჩანს, მალე მასაც შეეცვლიან, როდესაც ცხოვრების წესში, „კრიტიკული“ გამოყენებას მოვდა დაამკვიდრებენ.

ილია ჭავჭავაძეს, თითქოს, დღევანდელი ქართველობა ედგა თვალნი, როდესაც ბრძანა: „ჭკუა გონებით წილნები, ზნობადაცემული, სულელნი, უსწავლელნი, გაუანთლებელნი, გალატაკებულნი, პირისგამტყუნნი, — აი ჩვენი სულიერი და ხორციელი ავლა დიდების სურათი.“

სამშობაროდ, დღევანდელი საზოგადოების ფსიქო-პორტრეტული სახე ზუსტად ემთხვევა ილიასეულ აღნიშვნას. მსგავსება ზნობრივ და ეკონომიურ სიღრმეშიც კი საძებნია. ყველა იმ ნუსაჩეულელებს შორის, რომელიც პოლიტიკურ კეთილდღეობას განაპირობებს, უმთავრესი საყრდენი ზნობა და რელიგია, რის დევიციტსაც დღეს განვიცდით. „ჩემი ომის“ ავტორებმა საზოგადოება სულიერად გამოიფიტა, ნაციონალური ღირსება და თვითშეგნება დაუკნინა, გააზარდა და სხვის ხელის შეწყობა გახდა. ეროვნული ღირსების საკითხი არასამთავრობოებს გადაალოცა, რამეთუ პირად საქმე წუმად და შემაღლეთ აკეთონ. ზოგიერთი ქვეყანაში, პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილი, ჩათრულ არიან ეროვნული იდენტობის შეცვლის ფერხულში.

რიცხოვრივად ვეცოდებით, გაუკულმართებული ცხოვრების წესს ვაფუძვლით, გონიერებად ვწუხვდებით. ყველგან ამის ფონზე ხელისუფლებამ ვერაფრით ვერ ქმნის ეროვნული იდენტობის კონცეფციას, რომელიც ერის კონსოლიდაციას მოახდინებს და ქვეყანაც ერთობლივი ძალით განვითარდეს.



ბა. ეროვნული სწორი პოლიტიკური ორიენტაციების გარეშე ნიშნავს დადგარების პერსპექტივა გველოდება და სხვა არაფერი. ენათნობა საიდან იღებს „მოციხის მტრის“ იდეური წყაროები სათავეს? ვისი უჩინარი ხელით კეთდება სოციალური ინჟინერია საქართველოში და რა სურს „ევროპატიონალებს“ საქართველოდან.

ახალი იდეოლოგიის ენ. „კრიტიკული თეორიის“ შექმნა გერმანიის ქალაქ ფრანკფურტის — გოეთეს უნივერსიტეტის სოციალური ლბორატორიის კვლევებს უკავშირდება, რომელიც საქართველოში ექსპერიმენტის სახით განხორციელდა და ახალგაზრდა ეროვნული იდენტობის საზინაობა დელო ფერხულში ჩააბა. რატომ მაინცდამაინც ჩვენ? ისევ ილიას მოვუსმინოთ: „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ლობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატყენილი, ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედაქალაქის ზურგზე“. აი ეს გახლავთ ჩვენში სოციალური ინჟინერიის ექსპერიმენტის მოწყობის მთავარი მიზეზი. სხვა ქვეყანა არავის მისცემდა თავის ხალხზე მსგავსი ცდების ჩატარების უფლებას.

პირველი უტოპიური ექსპერიმენტი — „კომუნისმი“ რომლის იდეოლოგია ევროპულური რეალობიდან იყო იმპორტირებული, „დაგამნიფეთ“ და ისტორიის სანაგვეზე მოვიხროლეთ. ამჟამად ევროატლანტიკური იდეოლოგიის „ტურბოლენსურ“ ზონაში ვიმყოფებით. ჩვენზეა ნათქვამი — „ვასი გაეყვარე და უის შეეყვარე“. ორივე ექსპერიმენტი ახალი ადამიანის შექმნას ითვალისწინებდა. დადგადრო ეროვნული სახელმწიფოს შექმნას მიხედვით და ექსპერიმენტებისგან თავი შევიკაოთ, რადგან ნაც მომავალი „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყვადეს“!

გასული საუკუნის 60-იან წლებში ფრანკფურტის სკოლის „კრიტიკულმა თეორიამ“, რომლის იდეოლოგიის ურემდელები იყვნენ თეოდორ ადორნომი, მასქ პროკლიმირდა და პერტერტ მარკუსი, დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ცხოვრებას უნივერსიტეტებზე. ისინი აკრიტიკებდნენ რა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს, სურდათ ახალი იდეოლოგიით შემოქმედება მოეხდინათ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებზე.

ახალი მემარცხენე ფილოსოფოსებს — „რევიზიონისტ-მარქსისტების“, უპირველეს ამოცანას კლასიკური მარქსიზმის ნაკლებობის აღმოფხვრა წარმოადგენდა, რომელიც მე-19 საუკუნის სამ უმთავრეს აღმოჩენას — გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, ინგლისურ პოლიტიკურ ეკონომიას და ფრანგულ სოციალისტურ უტოპიას იყვებნებოდა. მარქსიზმის ქადაგებით პროლეტარიატს მიღებული უნდებოდათ ღირებულება, რომელიც ბურჟუაზია ითვისებდა, კლასობრივი ბრძოლის მთავარი მიზეზი გახდა. ამ თეორიის მიხედვით, მწაგვრელად წარმოადგენილი იყო ბურჟუაზია, ხოლო ჩაგრულად — მუშათა კლასი. ახალი დროის თეორეტიკოსებმა, ბურჟუაზია და მუშათა კლასი დაბალ განვითარებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების პროლეტარიატს მიიჩნიეს, რომელთა შორის ურთიერთობა კლასთა შორის ბრძოლით იყო გამოხატული.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ტექნოლოგიის სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. კომპიუტერიზაცია და რობოტიზაცია მხარბობლური საზოგადოება სამომხმარებლო სიბრტყეში გადაიყვანა, რამაც სრულიად ახალი სოციალური სექტორი ჩამოაყალიბა. ანტაგონისტური კლასური ტექნიკურმა ინტელიგენციამ და მომსახურების სფეროში

მოუმუშავე საზოგადოებამ ჩაანაცვლა. ერთი შეხედვით, ევროატლანტიკურ სივრცეში დროებითი სიმშვიდე დაისადგურა.

განხილული თეორიებიდან ნათლად იკვეთება ის საერთო ნიშნები, რომელნიც ფრანკფურტის სკოლის „კრიტიკულ თეორიამ“ პოსტმარქსიზმის მიმდევრებს (საზოგადოებრივი წინააღმდეგობა) და მარქსიზმის (კლასთა წინააღმდეგობა) თეორიებიმ არსებობს. ორივე აღიარებს „წინააღმდეგობას“, როგორც საზოგადოების განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას.

მარქსისტული ფილოსოფიის მსგავსად, ახალი იდეოლოგიაც სამ წყაროს ეყრდნობა. ესენია: მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია, პეგელის ფილოსოფია და ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზი. „კრიტიკული თეორიის“ მთავარი მიზანი ინტერ-დისციპლინარული თეორიების შექმნა იყო, რომელიც გამოყენებული იქნებოდა სოციალური ტრანსფორმაციისა და სოციალური ინჟინერიის ინსტრუმენტად. ახალი იდეოლოგიის მკვლევარები დაინტერესდნენ ისეთი მამართლებებით, როგორცაა: გენდერული პრობლემების კვლევა, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების საკითხი, პოლიტიკორექტულობის ბრობლემების განხილვა და სხვა.

„ფრანკფურტის სკოლის“ თეორეტიკოსები „ახალი ადამიანის“ (ცხოვრების ვადაფორმატების საკითხში) უფრო შორს წავიდნენ. მათი სკოლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, თეოდორ ადორნომმა, ნიგეში — „ავტორიტარული პიროვნება“, მშობლებისა და დედაპიშვილობის ინსტიტუტი, ოჯახის სიამაყე, ქრისტიანობა, საკუთარი ქვეყნის სიყვარული და სხვა, პათოლოგიურ მოვლენებად გამოაცხადა. ბუნებაში ტრადიციულად ჩამოყალიბებული ჩვევებისა და მოსაზრებების პათოლოგიზირება ახალი მემარცხენე თეორეტიკოსების ბრძოლის მთავარი იარაღი გახდა. მათი შეხედვლებით, „პათოლოგია უნდა გამოეცხადებინა წინაშე და წინაშე — მათოლოგია, რის შემდეგაც ადვილად შევძლებთ ტრადიციული საზოგადოების დახრევას და ახლის ამენებას“ (მარტეტ მარკუსი).

XX საუკუნის „პოსტმარქსისტებმა“ მთავარ ამოცანად ანტაგონისტური კლასების პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შემცვლელის პოვნა გაიხადეს, რათა თანამედროვე საზოგადოების განვითარების ენერჯის წყაროსთვის მიეგნოთ. საჭირო შეიქმნა ადამიანების ახალი გავრითანების მოქმენა, რომლებიც რადიკალურად უმცყოფილი იქნებოდნენ საზოგადოებრივ სივრცეში საკუთარი მდგომარეობით. თანამედროვე ევროატლანტიკურ სივრცეში ანტაგონიზმი აღარ უკავშირდებოდა ქორბრივ უთანასწორობას. საჭირო გახდა საზოგადოებრივი სივრცის ახალი პრობლემებით დატვირთვა. და აი გამოსავალიც ნაპოვენი იქნა!

ნეოლიბერალმა „პოსტმარქსისტებმა“ მთავარი



ვარი წინააღმდეგობრივი აქცენტები ეკონომიურ სფეროდან კულტურის, განათლებისა და სოციალურ სფეროებში გადაიტანეს. ეს გახდა მათ მიერ ხელმძღვრელად შექმნილი და მსოფლიოს თავისმხრეული ანტაგონისტური სივრცე. „პოსტმარქსისტების“ შეხედვლების მიხედვით, ახალი წინააღმდეგობის ავანგარდი, მუშათა კლასის მაგივრად უმცირესობები უნდა გახდარიყვნენ, რომელთა შორის იყვნენ: ჰომოსექსუალები, ლესბოსელები, ნარკომანები, ასოციალური ელემენტები, ფემინისტები, მუსლიმები და სხვა. „ფრანკფურტის სკოლის“ იდეოლოგიები მათში სამართლიანობის მებრძოლ ავანგარდს ხედავდნენ, რომელთა ინტერესების დაცვა, მათი აზრით, უნდინდეს მოვალეობას წარმოადგენდა.

ახალმა იდეოლოგიამ მიავლო რა პროლეტარიატის შემცველ სოციალურ ფუნქციას, მორიგი თავსატეხი ბურჟუაზიის შემცველების მოძებნა გახდა. პოსტმარქსისტების აზრით, განვითარებული ქვეყნებში კონსტიტუციამ, სამართლებრივმა სფერომ და მალაღაბავითარებულმა ტექნოლოგიებმა, საზოგადოებაში მაქსიმალურად აღმოფხვრეს კლასობრივი დიდებუნი (კაცია). მათი აზრით, დღეს ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში, ყველა მოქალაქე მიუხედვება ხელი იმ პროლეტებზე, რაზეც — მდიდარს. ასეთ ეკონომიკურ სივრცეში ექსპლუატაციის ნიშნები ნაწილობრივ გაქრებოდა. „კრიტიკული თეორიის“ მიმდევრებმა ეკონომიკურად ძლიერი საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა ახალი სოციალურ სივრცედ აღიარეს და ტერმინიც — „ლიბერტარიანულად“ მოხანალოს. მათ ხელში აღმოჩდა კოლხისკული ფინანსური რესურსი და მდია, რომელიც ყოველთვის ღიაა პოსტმარქსისტებისთვის, ხოლო ლიბერალურ-კონსერვატორულად მოაზროვნე საზოგადოებისთვის — საინფორმაციო ეთერი დახმულია. ასეა დღეს საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეშიც. მემარცხენე ნეოლიბერალიზმი, რომელიც

დღევანდელ მსოფლიო წესრიგს აკონტროლებს, ლიბერტარიანობისა (მწაგვრელები) და პოსტმარქსისტების (ჩაგრელების) პოლიტიკურ ალიანსს წარმოადგენს. მათ შორის წინააღმდეგობა მორენებითაა. კემპის სიმშვიდისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად იყენებენ. ალიანსის საფარქვეშ ლიბერტარიანულმა პოსტმარქსისტებმა იდეოლოგიის სფერო (მასკულტურა, ნარკოპოლიტიკა,



უმცირესობები, გენდერობი) ჩააბარეს, რომელიც მათთვის საინტერესო არ იყო, თავად კი მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური რესურსების მმართველებად დარჩნენ და მსოფლიოს საჭე გადაიბარეს. ნეოლიბერალები და, ზოგ შემთხვევაში, ნეოკონსერვატორებიც, მზად არიან მოაკეთონ საზოგადოებიდან, თუ მათ აზრს არ ეთანხმები, — შეხვედრაზე სასაუბროდაც არაფერ გეკარება. საზოგადოებრივ თავბრუსხვევებში (ვიდეოობენ შენგან დისტანცირებას, — არ ვიხედავებ სტატუსს, პრესაზე და სამეცნიერო კრებულები მენთვის დახმულია. აქედან გამომდინარე, ხდება მარგინალი. ასე, რომ, დემოკრატი ლიბერალური, რომლის ხელშეწყობა მსმედიის, ხშირად აცხადებენ სხვას და საქმიით თავისივე ნათქვამის საწინააღმდეგოს აკეთებს.

ახალი იდეოლოგიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსხვავებული ფერე, მუსიკალური ნოვა, ლექსიკა და ენა შემოაქვს. მისი სურვილია, გამოირჩეოდეს მის წინ არსებული შეხედვლებებისა და ენისაგან, რათა მოინახლდნენ კამათის დროს თავის სივრცეში გადმოყვანოს და მისთვის მიუღებელ ენაზე ესაუბროს. პოსტმარქსისტებმა იოლი გზა აირჩიეს. საზოგადოებას სოციალური გარემოს უკეთესობისაკენ შეცვლის სანაცვლოდ, ლექსიკის „სრულყოფა“ შესთავაზეს. ამგვარი მეთავეზებით ბურჟუაზია ძალიან კმაყოფილი დარჩა. აქცენტები გადაიტანეს იქნა სულ სხვა სივრცეში. ახალი ენობრივი ლექსიკა კულტურული ინდუსტრიის“ განხორციელების შემადგენელ ნაწილად იქცა.

ახალი ლექსიკა ენ. „პოლიტიკორექტულობა“, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ვრცელდება ჯერ გოეთეს, ხოლო შემდეგ ბერკლის უნივერსიტეტში. მათი შეხედვლებით პროპაგანდის ვალია, სოციალურმა მეცნიერებებმა და მედიამ საჯარო მეტყველების საკითხი სავალდებულო გახადოს, რათა აკონტროლო დისკუსია და საზოგადოებაში შეცვალო კულტურული ნორმები. ახალი ლექსიკით, ენა და იდეები შეიძენება როგორც სამუალებად, რომელიც, სათანადო რეკონსტრუქციის შემდეგ, იქცევა საუკეთესო ინსტრუმენტად სოციალური, ინსტიტუციონალური და სექსუალური ჩაგრების წინააღმდეგ. ახალი ენის დამკვიდრების მომხრეთა აზრით, მათ მიერ შემოთავაზებული ბერკეტების გამოყენების შემდეგ, დროთა განმავლობაში, ლაგდება რწმენის, ენის, ქვეყნის, გენდერობის საკითხები, რაც გამოიწვევს თვისობრივად ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

„პოლიტიკორექტულობის“ სრული წარმოდგენი-



სათვის გესურს მოვიყვანოთ ახალი ლექსიკის რამდენიმე მაგალითი, სადაც ნათლად ჩანს „კრიტიკული თეორიის“ უტოპიურება და „კულტურული განდინიზმი“. სიტყვები და გამოთქმები შეცვლილია ახალი აღიარებული ტერმინებით. მაგ.: მეზოვე — ეკოლოგიური ოპერატორი; ინვალდი — ალტერნატიულად განვითარებული; დაბალი — ვერტიკალურად შეჭირვებული; მინისფრა — გეოკორექცია; ზანგი — აფრო-ამერიკელი; ფოსტალიონი — პერსონპერსონ; ფიჯია და მდიდ ჯუჯა — მდიდ ვერტიკალურად მოძებნი ადამიანი და სხვა.

დღევანდელი „წამალდამოკიდებული“ და „ბუმბულდამშვენებული“ ქართული ბომონდი „პოლიტიკორექტულ“ ლექსიკას თავისი ახალი „სვეცი“ იდენტობისა და განსაკუთრებულობის ხაზგასაქმენად ამკვიდრებს. დასავლეთის ზრუნვა საოჯახო სფეროსაც შეეხო. „გადაგარების თეორეტიკოსები“ ქვეყნში ისეთ „მსოფლიო ენას“ გვიჩვენებენ, რომ დედა-მამას მალე „ციფრული სისტემით“ მიგმართავთ! აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, მშობლების სახელეობა — „დედა“ და „მამა“, არ ითვლება კორექტურულად და მალე პასპორტი გენდერულად ნეიტრალური გახდება. სამწუხაროდ, დღეს, ევროპაში, გაუკულმართებული მეტყველების პრაქტიკაში დანერგვის მომხრეებად

გვევლინებიან აკადემიური წრეები, სოციალური და პუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლები. „პოლიტიკორექტული“ სამეცნიერო ენა ახალი უტოპიური იდეოლოგიის წარმოების საშუალებაა. მათი აზრით, ასეთი ენა ქმნის ერთიან საზოგადოებრივ მსოფლიო სივრცეს, სადაც პოლიტიკური ელიტების ცვლილებების მცდელობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

ვინ არიან ახალი იდეოლოგიის პოსტმარქსიზმის აქტივისტები და მათი მიმდევარი არასამთავრობოები? რა მიზნები ამოძრავებთ მათ?

ჩვენ საქმე გვაქვს სერიოზულ იდეოლოგიასთან, რომელიც პოლიტიკორექტულობის აზრის ქვეშ ცდილობს ტრადიციული საზოგადოების დახრევას. რაც უფრო ცუდად იგრძნობენ უმცირესობები თავს, მით უუკეთესია მათი ლიდერებისათვის. აქტივისტები, რომლებიც, თითქოს, იცავენ უმცირესობათა უფლებებს, სინამდვილეში, არ ზრუნავენ უმცირესობებზე. ისინი სარგებლობენ უმცირესობებით, როგორც საზოგადოებაზე ზეწოლისა და კონტროლის ინსტრუმენტს (ვებუკისკი).

ისევე, როგორც რუსი მარქსისტების მიზანს, საზოგადოებით მანიპულირება და მართვის სათავეში მოსვლა წარმოადგენდა, ასეთივე მიზნებს ისახავენ არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერებიც. დასავლეთში პოლიტიკორექტულობა ემსახურება სტაბილურობის შენარჩუნებას, რათა ახალმა „მარქსისტებმა“ მართვის სადავეები სამოქალაქო თანხმობით გადაიბარონ. დღეს ახალი იდეოლოგია ქმნის პოლიტიკურ სივრცეს, სადაც ზოგადი აზრი ძალადობს ინდივიდზე. ზოგადი მოსაზრებით გათვლითა გლობალიზმი და ლიბერტარიანული სულისკვეთება. ასეთ გარემოში ადამიანის უფლებები მხოლოდ ნაწილობრივ არის დაცული. პიროვნული თავისუფლების კონცეფციდან გამომდინარე, ინდივიდს უფლება აქვს გამოხატოს თავისი პრეტენსიები უცხო იდეების თავზე მოხვედრის გამო, რადგანაც ასეთი ქმედება დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს. საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში, პიროვნების ბიჭი წინააღმდეგობის გამოხატვის შემთხვევაში, მარასამთავრობოების მხრიდან არაკორექტურული რეაქცია და დისკრიმინაციული ღონისძიებები მოსდევს. საქართველოში პიროვნებისადმი ამგვარი დამოკიდებულება დღეისათვის სახელმწიფო რანგშია აყვანილი.

პოლიტიკორექტულობის იდეის მიმდევრები, რომელთა ქმედება ერთ დროს საზოგადოებას სასაცილოდაც არ ყოფილდა, დღეს მსოფლიოში შავი ჭირივით არის მოდებული. ისინი ცდილობენ საკონონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს თავს მოახვიონ ახალი პოსტმარქსისტული გადაწყვეტილებებით, რომელნიც ევროპოლიამენტის დადგენილებებთან უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში. მაგალითად: **ლონდონში გააუქმეს საშობაო დღესასწაულის აღნიშვნა, ვითომდა, დროშაზე გამოსახული წმ. გიორგის გამოსახულება შეურაცხყოფად მამადაცხადებდეს.** სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი უსუსური გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ლონდონის ერთ-ერთი მაღაზიის მუსლიმმა მუპატრონედ, ინგლისის დროშის სურათით ვიტრინის მინას გააკრა, რითაც საზოგადოებას მიანიშნა, რომ წინადა გიორგის სიმბოლოს აკრძალვა არა მისი, როგორც მუსულმანის ბრალია, არამედ ევროკავშირის მითითებით არის განხორციელებული.

ინგლისში შეუსაბამო პიესების უმეტესობა აღარ იდგება, რადგანაც — ვენეციელი ვაჭარი ანტონიო მუჩინის ნიშნებს შეიცავს; „ოტელი“ — რასიზმის, ჭირვეულის მორგებულა — სექსიზმს. ლონდონის ერთ-ერთმა მასწავლებელმა ბავშვები „როკო და ჯულიეტას“ სპექტაკლს არ დაასწრო, რამეთუ, ამ ნაწარმოებში მტერთრესულური უპირატესობა იკვეთებოდა.

ახალი უცხოური იდეოლოგიური ნაკადები ცდილობენ სახელმწიფოს მიგნადან დაპყრობას, რაც საშიში ტენდენციაა. მიუხედავად ამისა, ასეთ გამაფრებულ პერიოდში, დღევანდელი საქართველოს მთავრობა კონსერვატორებსა და ტრადიციული კულტურის დამცველებს მხარს არ უჭერს. მხარდაჭერის შემთხვევაში, საზოგადოება, სახელმწიფოს აუცილებლად გვერდით დაუდგებოდა. ჩვენი აზრით, კონსერვატიზმი პიროვნებისა და ინდივიდის მთავარი ღირსებაა. იგი წარსულის აღიარება და ჯანსაღი საზოგადოების შექმნის საფუძველია. კონსერვატიზმი — თვითშეცნობის, იდენტურობის და სამყაროში ადგილის პოვნის საშუალებას იძლევა.

მომავალში უსარგებლო იდეოლოგიური ნაკადების დამარცხებას, გაზრებული მეთოდოლოგია და ანტიგლობალიზტური ორგანიზაციების ჩამოყალიბება სჭირდება. დღეისათვის საქართველოში ძლიერი მემარჯვენე პოლიტიკური ტალღის შექმნა აუცილებელია, რათა ქვეყანა საღატათის ძილს არ მიეცეს. პოლიტიკოსებმა პრაქტიკული ღონისძიებები უნდა გაატარონ, ხოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა, იდეოლოგიური ბაზისი შექმნან. საჭიროა ვისწავლოთ იდენტურობის შენარჩუნების ტექნიკოლოგია და შევექმნათ მეთოდოლოგიური ხერხები დასავლეთის თანამედროვე „უკულტურო კულტურის“ აგრესიის გასაწინააღმდეგოდად.

დღევანდელი ევროპული მიმართულების არჩევანი რევიზიას არ ექვემდებარება. დაახლოება უნდა მოხდეს ევროპული ლიბერალურ-კონსერვატიულ ღირებულებებთან და არა პოსტმარქსისტების ექსტრემული „აბრადაკაბრასთან“. უნდა შეეთანხმნენ კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის თანაცხოვრების პრინციპებზე. დროა ჩამოყალიბოთ ჩვენი პოლიტიკური ღირებულებები. ლიბერალურ-კონსერვატიული ფასეულობები საქართველოს განვითარების ქვაკუთხედი უნდა გახდეს, რადგანაც ერთი პროგრესის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, ხოლო მეორე ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის მთავარ გარანტად მიგვაჩნია.

გარდა ამისა, უნდა ავირჩიოთ ევროპასთან ჩვენთვის მისაღები ინტეგრაციის ხარისხი. რაც უფრო ახლოს საზოგადოებისთვის, უნდა მივიღოთ ევროპიდან, რაც არა, — უკუდგავით. ამაში არჩევანი და არა მიმართულებაა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა განვსაზღვროთ, რისთვის გვჭირდება ევროპული ცივილიზაცია. საკუთარი იდენტობის შესანარჩუნებლად თუ მის დასაყრდამად.

ნოდარ ახალკაცი,
სამუხუბოში სამცის ექსპერტი

გონდო არქივია

გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ჭიჭინაძის – „ქუყყანა ანისისა“ (რედაქტორი აკად. დ.მუსხელიშვილი). წიგნი მომზადდა რუსთაველის ეროვნული საზოგადოებრივი ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ანისის ქართული კულტურული მემკვიდრეობა“ – ფარგლებში.

ამთავრებულ გვესურს განვაცხადოთ – მონოგრაფიაში მრავალი საკითხი დასმული და გადაჭრილი, რომელთა აღწერა და გადმოცემა საგანგებო სტატუსის ფარგლებს ცილდება. ამიტომ გამოვყავით რამდენიმე ძირითადი საკითხი.

საქართველოს კავკასიურ სახელმწიფოში შემავალი სომხური ტერიტორიებიდან ანისის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. სტრატეგიულ მდგომარეობასთან ერთად მის დიდ ღირებულებას იდეოლოგიური ასპარეზიც განაპირობებდა. ანისისთვის ბრძოლა ისლამურ სამყაროსთან წარმოებული „საღმრთო სჯულთათვის“ მის მნიშვნელოვან ეპიზოდს ქმნიდა. ეს ბრძოლა, იმავდროულად, საქრისტიანოში საქართველოს ადგილსაც განსაზღვრავდა.

ამგვარი შესავლის შემდეგ გ.ჭიჭინაძის აღნიშნავს: – „ანისი ქართველთათვის ბიზანტიელებზე უპირატესობის სიმბოლოდ იქცა. ის რაც საქართველომ ბერძენ კეისართა უნიათობით დაკარგა, ქართველ მეფეთა სიმხვევით უკან დაიბრუნა. ყოველივე ამან მისცა საფუძველი ქართველ იდეოლოგებს ამაყად განეცხადებინათ – „ელინნი, ესე იგი ბერძენნი, ლბილ და დედალონი არიან, ხოლო „ნათესავნი ჩუენ ქართველთანი, ღმრთის ოდენ და მკლავისათვის თვისისა მოსაგნი, რომლითაცა... საცნაურ იქმნების სიყველე ჭაბუკისა“.

ამ მხრივ საინტერესოა ჯუჯინის ცნობა – „ქართველებს გადამწყვეტილი ჭიჭინაძის ბაღდადიდან წასულიყვნენ, მერეთები ეკლესიებით და ჭიჭინაძე მარტობა სიცრუით შეეცვალათ“. ეს მოწმობს, ამ დროს საქართველოს სახელმწიფოს დიდ ავტორიტეტზე და აღმოსავლეთის საქრისტიანოში მის პირველობაზე მიუთითებს. ამგვარ ედუკაციურ-პოლიტიკურ კონტექსტში გასაგებია ხდება ანისის ადმინისტრაციული და საეკლესიო მონაცემის მნიშვნელობის განსაზღვრა და სტატუსი ქართულ სამეფოში. გ.ჭიჭინაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევიც ამ თემას ეძღვნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ წყაროებში ანისის ქვეყნის სახელით ისტორიული პროვინცია შირაკი მოიხსენიება. როგორც გ.ჭიჭინაძის აღნიშნავს: – „შირაკის“ „ანისის“ ტრანსფორმაცია ისტორიულ-გეოგრაფიული ევოლუციის შედეგია, რასაც მოწმობს წერილობითი წყაროები. უძველესი ცნობა ამ ქვეყნის შესახებ ძვ.წ.აღ-ით მე-7 საუკუნეს განეკუთვნება. ამაზე ურარტული წარწერა მეტყველებს, რომლის მიხედვით ახურაინის ხეობაში განფენილ მინებს ერიახი რქმევია. შირაკი სირეკენეს ფორმით პირველად მე-2 საუკუნის ავტორის კლავდიოს პტოლემასის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ გვხვდება. სომხურ წყაროებში კი მე-5 საუკუნიდან ჩნდება. ამ დროს იგი კარგად გააზრებული ცნება, სადაც სპარსელი მეციხოვნენი იმყოფებოდნენ. ავტორმა დაადგინა, რომ შემდეგ საუკუნეებში სომეხ და უცხოელ ისტორიკოსებთან ეს ქალაქი მხოლოდ ანისად მოიხსენიება, ქართულშიც ასევე იხსენიება ანისად.

აღნიშნულ მონოგრაფიაში, სომხური და ქართული წყაროების მიხედვით, ანისის პროვინციის ტერიტორიული საზღვრის დადგენის პირველი მცდელობაა.


გ.ჭიჭინაძის ლაპიდარული წარწერების მიხედვით გამოკვლეული აქვს ანისის ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხები და გზები. განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ აქ ხორბლეულის, ზეთსახდელის ტექნიკური კულტურა დომინირებდა. რა თქმა უნდა, შიგადაშიგ, მებღელეობა-მეცხეობასაც მისდევდნენ.

რაც შეეხება გზებს, მათ შესახებ ყველაზე უადრესი წერილობითი ცნობა მოგვეპოვება შირაკის „ამ-

ხარაცუის“ ვრცელ რედაქციაში. მასში დასახელებულია ანისი, მრენი და ერვანდაშატი. ისინი ახურაინის გასწვრივ მდებარეობდნენ, რაც მდინარის ხეობაში გამავალ გზასაც გულისხმობდა. აკად. პ.მანანდიანის აზრით, ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში ერვანდაშატი არტაშატიდან მომავალი საეჭრო-საქარავნო გზების ტოტებს დასავლეთ საქართველოსკენაც მიმართავდა. ცხადია, ახურაინის აყოლებით.

ფარსადან გორგჯანიძის ცნობით, საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი ერთ-ერთი გზა ძირითად მაგისტრალზე – შირაკზე გადიოდა. მას „ანისის გზა“ ეწოდებოდა.

როცა შორილიანის სასულთანო ქართლ-კახეთის სამეფომ შეიერთა,



ქუყყანა ანისისა

ერეკლე მეორე შეეცადა თბილისი-ლორე-შორილიანი-ერვანის გზა გამოეცოცხლებინა. „სამომოსვლო სისტემა და გზების ხასიათი ანი-შირაკის საქართველოს სამეფოში ინტეგრაციის ხარისხსაც განსაზღვრავდა“ – მართებულად შენიშნავს გ.ჭიჭინაძე.

საგანგებოდ გვესურს გამოვყოთ მონოგრაფიის ის ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია ანისის შემოსვლის დასაწყისი ქართულ სამეფოში. საქართველოს და სომხეთის მეტოქეობა კავკასიაში პირველობა X-XI სს-ის მიჯნაზე მკაფიოდ გამოიხატა ქართულ და სომხურ ხუროთმოძღვრებაში. ამ დროს, თითქმის, ერთდროულად, აშენდა ქუთაისსა და ანისში საკათედრო ტაძრები. სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ ჭიდილში უნდა გადაწყვეტილიყო ეს გეოპოლიტიკური სივრცე – ქართული იქნებოდა თუ სომხური. ეს ისტორიული პროცესები ქართული და სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია მონოგრაფიის შესაბამის თავში. X სს-ის მეორე ნახევრიდან ისტორიული პროცესები ქართველ მთავართა უპირატესობით წარმართა. ამას მოწმობს ქართველ და სომეხ ისტორიკოსთა ცნობები. გ.ჭიჭინაძის მოტივილი აქვს სუბმატ დავითის ძის, არისტაკეს ლასტივრტეცის და სხვათა ცნობები; მათგან შეიძლება დავიძინოთ სტეფანოს ტარონეცის ცნობა – „დავით კურაპალატმა დაამყარა მშვიდობა და წესრიგი მთელ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი ქართველებსა და სომხებში“.

ბაგრატ მესამე (978-1014) „დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობლობით და სომხეთსაც ხელმწიფებითა ნებურად განაგებდა“. ქართველმა მეფეებმა ისლამურ სამყაროსთან დაპირისპირებაში უდიდეს წარმატებას მიაღწიეს – „დავით აღ-

მაშენებლის (1089-1125 წწ) ეპოქაში არა მხოლოდ დასრულდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გაერთიანების პროცესი, არამედ ხორცი შეესხა კავკასიის პოლიტიკური ერთობის იდეასაც. დავითის საქმე წარმატებით გააგრძელეს მისმა მემკვიდრეებმა (დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე) და XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სამეფოში ქრისტიანული კავკასიის უდიდესი ნაწილი გაერთიანდა“.

გ.ჭიჭინაძის განალიზებული აქვს ანისის მნიშვნელობა და სწორ დასკვნასაც იძლევა – „ანისის დაუფლება ქრისტიანული საქართველოს ჩრდილოეთ სომხეთზე გაბატონებას ნიშნავდა. სომხეთის მთიანეთის მალაბოტზე ფეხის მოკიდებით საქართველოს სამეფოს კონტროლქვეშ კავკასიის და ანატოლიის სირიასა და მე-სოპოტამიაში მიმავალი გზები ესწებოდა“.

მეფე გიორგი III-ს 1174 წელს ანისი ამირსპასალარ ივანე ორბელიანისთვის გადაუცია.

გ.ჭიჭინაძის საისტორიო მონაცემებზე დაყრდნობით წერს: – „ქართული სახელმწიფოს დასაყრდენს ანისში მხოლოდ სამხედრო ძალა როდი წარმოადგენდა. განსხვავებით ერთმორწმუნე ბიზანტიისა, რომელიც ანისში გრიგორიანული ეკლესიის დათრგუნვას ცდილობ-

რცის ნაწილები დიდ სომხეთიც და ალბანეთიც.

ნ.მარი ანისში არსებულ ქალაქ-ლონურ ძეგლებს სომხურ-ქალაქ-ლონურ კუთვნილებად თვლიდა, მაგრამ კათალიკოს გეგეანეს წარწერის შემდეგ, ნ.მარმა შესაძლებლად ცნო ქალაქ ანისში ქართველთა მკვიდრობა. ამის მიუხედავად, „ქართველთა“ კონფენსიურ უპირატესობად სომეხ-ქალაქდონისტების აღნიშვნის ტერმინად გამოაცხადა, ქართული ენა კი ქალაქდონისტების სომეხების ეკლესიის დაუკავშირა – შენიშნავს გ.ჭიჭინაძე და განაგრძობს – ნ.მარის თანამოაზრენი კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ანისისა და ისტორიული ჩრდილოეთ სომხეთის ქართული ეპიგრაფიკა დიოფიზიტი სომხების შემოქმედებად გამოაცხადეს. ამ მხრივ „თავი გამოიჩინა“ მურადიანმა.

გ.ჭიჭინაძის ფაქტობრივი მასალის და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შემდეგ, კარგად, კარგად კი არა, ძალიან კარგად აქვს მოსაზრება ინტერპრეტირებული და მართებულ დასკვნასაც იძლევა – „ენა სახელმწიფო თუ რელიგიური იდენტობის მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ეტოფანე კათალიკოსის მეტყველებაშიც

„ქართველნი“ არა ზოგადად მართლმადიდებლებს, არამედ ქართულ სახელმწიფოში მცხოვრებ, ქართული ეკლესიის ნიაღში შემოსულ და წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე აღმსარებელ დიოფიზიტობას გულისხმობს.

დაბს, სწორედ ამ მართლმადიდებელი თემისთვის – ნათესავთა ქართველთა და ნათესავთა სომეხთა კრებულისთვის იყო განკუთვნილი აღნიშნული განხილვა ისევე, როგორც ანისის ეკლესია-მონასტრებზე ქართულ ენაზე ამოკვეთილი იურიდიული აქტები, ეპიტაფიები, პოლიგრაფიული და ფრესკული წარწერები“.

შირაკის ქედის ჩრდილო კალთაზე დადასტურებულია ტომონიმი „გურჯილი“, ანუ ქართველთა ქვეყანა/მხა-

მას არაბულიდან წარმომავალ სიტყვად თვლის.

მრავალი პოლიტიკური ქარტახილის მიუხედავად, მცხეთის საკათალიკოსო XVI საუკუნის დასაწყისამდე ინარჩუნებდა თავის იურისდიქციას ანისზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო აქ ქართველი მოსახლეობის მკვიდრობა.

ეს წიგნი – „ქუყყანა ანისისა“, თანამედროვე ისტორიული მეცნიერებისთვის დიდი შენაძენია. თუ ვინმე დაინტერესდება და გადახედავს, თვითონვე დარწმუნდება. მაგრამ მე მუსურს ამ ნაშრომზე კიდევ ერთზე შევიჩრდე. ცოტა შორიდან დავიწყებ. აგერ რამდენიმე ათეული წელია, არმენოლოგიაში ვმუშაობ და მის არაერთ დარგს ვიკვლევ, საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფო-დაკარგულ და სახელმწიფოებრივ აზროვნებაში მოხილულ ხალხს საიდან შეეყარა ნარცისიზმის სენი, გადასული ავადმყოფურ ისტორიზმში, ვერაფრით ამეხსნა, ვიდრე არ წავიკეთე გ.ჭიჭინაძის ნაშრომი – „სომხური პოლიტიკური იდეოლოგია საზღვრების გარეშე, სომხური კოსმოკრატიზმი ადრე და შუა საუკუნეებში“ (ქრ. „სამეცნიერო პარადიგმა“, თბ. 2003. გვ.278).

დაბს, სომხურ საისტორიო მწერლობას თუ გადავხედავთ მოგვს ხორენაციდან დღემდე, ჯერაც ვერ დაადგინეს, რომელი საუკუნის მწერალი იყო – V, VIII თუ IX საუკუნეს ეკუთვნოდა იგი? სომეხ ისტორიკოსთა ერთ ნაწილს, პათოლოგიურ ისტორიზმში გადასული ეროვნული ნარცისიზმი სჭირთ. ამ დადავებას XX საუკუნის შუახანებში „სომხური კოსმოკრატიზმი“ უწოდებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში სრულად არის „კოსმოკრატიზმი“ განმარტებული – „კოსმოკრატიზმს“ უწოდებენ მეფეთ-მეფეებს, იმპერატორებს, რომლებიც უპირველესი მისიად მიიჩნევენ დედამიწაზე ზეციური წესრიგის დამყარებას და განსაზღვრული იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი ახერხებდნენ კიდევ „განხორციელებინათ“ სუვერენული უფლებები კონკრეტულ გეოპოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში“ (კ.თუმანიანი).

აქ ამერიკელ მეცნიერს „კოსმოკრატიზმის“ ტიპურ ნიშნად მიაჩნდა ქვეყანა ე.წ. „დიდი არმენიის“ სახელით წოდებული სახელმწიფო და მისი ოთხ საპიტახშირდ მოწყობა, რაც სამყაროს ოთხივე მხარეზე სომეხთა მფის ბატონობის სიმბოლოდ აღიქმებოდა.

სომხური კოსმოკრატიზმის დამწყებად და ნიშნად მიჩნეულია „სომხეთის ისტორიის“ ავტორი მოგვს ხორენაცი. – „სომხების“ „პუროლოტემ“ – წერს გ.ჭიჭინაძე, – ირანის ისტორია მოხრებულად მოარგო აშობლიური ქვეყნის წარსულს და აშობლიურობა და სასანიდების სამხედრო გამარჯვებები ჰაიკიდებს და არმაკუნებს მიაწერა. თბრობაც ირანულ სამყაროში გავრცელებული პოლიტიკური თეორიების მიხედვით გააწყო და შექმნა მწყობრი კონცეპცია, რომელიც აზიურ სამყაროს ფრიად მნიშვნელოვან ნაწილზე „სამყაროს მბრძანებელ“ შაოსიანების უფლებებს ასაბუთებდა“ (დასახ. ნაშრ. გვ. 282).

როგორც ვხედავთ, მოგვს ხორენაცმა სათავე დაუდო სომხურ ეროვნულ ნარცისიზმს, პათოლოგიურ ისტორიზმს, რაც გამოიხატებოდა აქამენიდების და სასანიდების ტრიუმფალურ სამეფო წარმატებებში – სომხეთის გამარჯვებად გამოეცხადებინა.

ამის შემდეგ განა უნდა გავიკვირდეს სომეხი ისტორიკოსების მიერ ქართული მიწების მისაკუთრება, ქართული ეკლესიების მიტაცება, რუსთაველის, აკაკი წერეთლის, სომეხად გამოცხადება და ქართველი ერის „გრუზიკებად“ მოხსენიება? ეს დიდი თემაა და თუ ვინმე დაინტერესდება, ნახოს ჩემი წიგნი – „ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში“ (თბ. 2016. ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

დასასრულს ვიტყვი, გ.ჭიჭინაძის სახით ქართულ საისტორიო მეცნიერებას დიდად ერუდირებული და ქართული ეროვნული სულით გაუღნითილი მეცნიერი უყავს.



ანისის ქართული წარწერები

და, საქართველოს სამეფო სარწმუნოებრივ შემწერებლობას იჩენდა, თავის ირველივ სომეხ აზნაურებსა და ფრიად გავლენიან სამღვდლოებს იკრებდა“.

გ.ჭიჭინაძის აქედან სწორი დასკვნა გამოაქვს, როცა წერს: – „ქართულ-სომხური ურთიერთობები XII საუკუნეში, რა თქმა უნდა, არ ყოფილა იდეალური, მაგრამ ტოლერანტობა ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს აღმშენებლობის მნიშვნელოვან ქვეყნობებს წარმოადგენდა“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ათნლიანი შესვენების შემდეგ, 1191 წელს, საქართველოს მეფეებმა განაახლეს ანი-შირაკის ინკოპორაციის პოლიტიკა. 1198 წლისთვის სამეფოს საზღვრები ქალაქ ანისის სანახებზე განავრცეს. 1199-1203 წლებში მხარგრძელებმა ანისიც აიღეს. სომეხი ავტორების – კირაკოს განძაკელის, გრიგორე აკანელის, სტეფანოს ორბელიანის და სხვ. მოწმობით, საქართველოს სამეფო კავკასიის საქრისტიანოს მომცველი ქვეყანაა. აქ პოლიტიკური სივ-

რე. ანისის ტემში, ანუ ქვემო შირაკში, ქართული ტომონიმი – ჭალა; მე-13 საუკუნის ლაპიდარული წარწერებში გვხვდება სოფელი შავთა და სხვ.

კიდევ უფრო საინტერესოა ქართული საეკლესიო ტექტონოლოგია – ხატის, ხუცის, კრუღის გამოყენება ანისის სომხური მოსახლეობის მეტყველებაში.

ერთი სიტყვით, ქართული ეკლესიის გავლენა ანისში ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. საქართველოს სამეფოს შეერთებიდან 20 წლისთავე სომეხთა სატახტო ქალაქში არაერთი ქალაქდონური საგანე მოქმედებდა.

ბაგნარეს ღვთისმშობლის მონასტრის კედლებზე ერთ სომხურ წარწერაში მოხსენიებულია ვინმე მხითარ ძე დუალისა. ქართველი მეცნიერის აზრით – ის არის გამოწოფიზიტებული დევალი. მიუხედავად იმისა, რომ ცდილობს დაასაბუთოს თავისი მოსაზრება, ვფიქრობთ, ეჭვის საფუძველი მანც რჩება. ჩვენ უფრო მართებული გვგონია აკად. პრ.აჭარაიანის მიერ ამ სახელების განმარტება – იგი

იქცაბითი გამოსახულება

„ლიტერატურული მესხეთის“ მარტის ნომერში დაიბეჭდა ვაჟა სამსონიძის წერილი „ადგილის სახელი მართლწერისათვის“, რომელიც დაგვიანებული გამოხმაურებაა ჩემი წიგნის „ჭაბრები და სახლები“. თავისთავად, წიგნის მიზანი გამოხმაურება, დადებითი იქნება თუ უარყოფითი, მისაღება. მეცნიერების ნიშნულა აზრთა სხვადასხვაობას ემყარება. მე ვამაოცა ავტორის ქოლოგარეგნა ცონმა და ამიტომ გადავწყვიტე უპასუხოდ არ დამეტოევიზის ეს წერილი.

არაბეთური ტონი უცოდინრობისა და ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციასა და ფუნქციონალს. ბატონ ვაჟა სამსონიძის წყნა, რომ მისთვის საინტერესო სტატუსის ამონაბეჭდი მიმიცია და არა წიგნი მთლიანად. მას შევხვედრებოქ მეუყავს მკითხველი, როდესაც ბრძანებს, რომ ამონაბეჭდი ახალი წიგნიდან იყო. „ჭაბრები და სახლები“ გამოვიდა 2010 წელს. ვ. სამსონიძე ჩემთან ყოფილა გასულ

ლიზო მასალის, ამ შემთხვევაში, სოფ. ტატანისის ტოპონიმი პრივაციაცაა. მისი აღწერის და კვლევის უფლება ყველას აქვს.

ახლა მოვლედ მოგახსენებთ რა შევძლო მეზუვა საუბარი. საქმე ეხება სამ ტოპონიმს და თავად ტატანისის ეტიმოლოგიას.

ავაზნთან დაკავშირებით მიმუშავია, ამიტომ, ცოტა არ იყოს, განვიკვირდა, როდესაც იმოდღებდა ბატონი ვ. სამსონიძე, რომ ავაზნი ტატანისური ტოპონიმი და ტატანისელებმა შეარქვეს და როგორ გავხედე მე მის შესახებ რამის თქმა.

მესხეთში ავაზანი აქვს კონკრეტული დონიშელება. ის აუცილებლად უნდა იდგეს გამომდინარე წყაროს მინ. უნდა იყოს გათლილი ხისგან ან ქვისგან. როგორც წესი, ხის ავაზნი დროთა განმავლობაში იშლება, ფუჭდება და კვალიც იშლება. ხშირად ხდება, რომ ასე გამკრალი ავაზნის ადგილს მხოლოდ წყარო დის, აღარ არის ავაზნი, მაგრამ ხალხი მანიც მას

სახელი გადავიდა ყანაზე, მაგრამ ყანა ერთი არ იყო, ამიტომ ყანების სიმრავლე გამოიხატა – ების საშუალებით. ასე მივიღეთ ქართული სახელი უცნაური ფორმა – რიცხვითი სახელი, არსებითი სახელი და მრავლობითი რიცხვი.


ბატონი ვ. სამსონიძე გამარჯვებული და გახარებული აფრიალებს ჩემს „შეცდომას“, რიცხვითი სახელიდან ერთად უბანი მრავლობითი რომ უცხობა ქართულსათვის და იქვე მოჰყავს ცნობილი მაგალითები: „კუმის შედენი გურჯანდელი“, „აონი ნაველით სამორად“. ეს ორივე მაგალითი, რა თქმა უნდა, უადგილო და უხერხულია. აქ არის ძველი მრავლობითი და არა უბანი. ნინალომდე შემთხვევაში უნდა ყოფილიყო: „კუმის შედენი გურჯანდელი ნაველით“, ან „კუმის შედენი გურჯანდელი ნაველით“. ასევე უნდა ყოფილიყო მეორე მაგალითის დროსაც: „არები ნაველით სამორად“. ასეთი მარგალითები იფრქვევა ჩემი ოპონენტისაგან.

ეკლესიასთან... ქუმის, ქუმის და ხომის დაკავშირება სრულიად ლოგიკური ჩანს, თუ რამ განაპირობა ასეთი ფონეტიკური ცვლილება, ვერ ვეუბრობი უცნობია... ხომის ვ. სამსონიძის ეტიმოლოგია დამაფრთხილებელია.

ფეოქრობი, მეტი მხარდაჭერა ოპონენტის მოსაზრებისა, ნარმოვლადგებოდა. ის კი რატომღაც გამოკვიდა პარალელურ ფორმას ქუმის ეკლესიას.

1977 წელს 80 წლის ინფორმაციისაგან ჩანს რომ გუმის ეკლესია არ დავკარვე და, მოუხედავად იმისა, რომ 2007 წელს ვერ დავადსტურე. პარალელურ ფორმად მოვიხსენიე. ალბათ, ბატონ ვ. სამსონიძის ერთი სული უქონდა, როგორც მოსე ხონელაძე მისულიყო, მივიდა, დიხყო მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც პირველად დააფიქსირა ხონელის ნაცვლად ხომელი და ხელახლა მოეყვავა სად, როდის, რა ნაიქითხა და ვინ როგორ მოგახდა დღემდე. არა და, როგორც მოგახ

და ცის ტატანობი. ტატანობი მხოლოდ შეიძლება შეინდეს (ვ.ს. ტატანისის ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას ვ. სამსონიძე წერს: „მიგვაჩინა, რომ სოფლის დასახლება მიღებული უნდა იყოს „ტატანობი“ – სიტყვითა და, რომ „ტატანობი“ უნდა ვუნდოდით არა მხოლოდ „ცის კამარას, ცის თაღს, ცას.“ არამედ მინის სწორი შედარისაც. სწორედ ასეთი პორიზონტზე იყო გამოვლილი წინააღმდეგობა ტატანისი, ახლა რომ ვერანა ტატანისი“ ჰქვია“ (ვაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ 2006 წლის მაისი), იძულებული ვარ დამატებით მეთუთითი ციტატის ავტორის შემდეგ უზუსტობათა შესახებ: ტატანისი არ შეიძლება მიღებული იყოს ტატანობი სიტყვიდან, რადგან ორივე (ტატანისი და ტატანობი) მიღებულია ტატან ფუძიდან, ერთი ის სუფიქსით და მეორე ობ სუფიქსით. შორის ნაგვიყვანს იმზე მსჯელობა თუ რა განსხვავებაა ამ ორ სუფიქსს შორის და რას როდის დავრთვით თითოეული მათგანი. ტატანობის ვერ



ნაწმერთული ღმერთული ავაზანები ჯავახეთში

წელს, როგორც თითონი წერს, ე.ი. 2017 წელს. 7 წლის წინ ახალი არ არის. სინამდვილეში მე აღარ მქონდა სასაჩუქრედ და იმდრო ვერ მივეცი მას „ჭაბრები და სახლები“. ასეც რომ არ ყოფილიყო, ამონაბეჭდის გაწვევება მიღებული ფორმა სამეცნიერო ნიშნები და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ამიტომ არასწორია ვ. სამსონიძის ეჭვები, თითქოს მე მას „შენიშვნა“ მივეცი ამ შესახებ. იგი წერს: „ნიგნის ავტორის სურდა „შენიშვნა“ მოეცა ჩემთვის, რომ მე არასწორად ვაღმოვცემ ჩემი სოფლის ადგილი ახსებულს“.

ავაზანს უწოდებს. ბოლოს და ბოლოს, შრება წყაროც“ (მ. ბერიძე, „ნასოფლარი ერკობა“, 2013, გვ. 75).

ავაზნის ეტიმოლოგია მ. ანდრონიკაშვილს ეკუთვნის მისი აზრით ეს სიტყვა შემოსულია ქართულსა და სომხურში წიდილირანული დალაქტური წოდების სომხურში მას აქვს ტბის, გუმის მნიშვნელობა. შესულია სხვა ენებიც და ყველაზე წყალს უყავრებდა (მ. ბერიძე, ავაზანი სამცხის ტოპონიმი, დასა. ლიტ. გვ. 74-79) აღარაფერს ვამბობ ძველ ქართულში მისი მნიშვნელობის შესახებ: „ქაბი, აუზი, ეზბანი, სულხან-საბახიულის განმარტებებზე დაიღუფტურ მონაცემებზე და სხვა. ავაზანი ერთეულზე უფრო ლექსიკური ერთეული იყო სამცხე-ჯავახეთში, რომელიც, სამწუხაროდ, იკარგება თანდათან და მხოლოდ სპეციალურ ტერმინად თუ გამოვიყენებთ, ან ტოპონიმი შემოვიტანავს ხოლმე.

სიზაპარის თანამედროვე ავაზანები



სიზაპარის თანამედროვე ავაზანები

ვ. სამსონიძე ჩემზე წერს: „როცა ტოპონიმ ავაზანს ეხება, ერთგვარად შეტყუებულია“ და ამის არგუმენტად მოჰყავს ციტატა ჩემი წიგნიდან: „ავაზანა მთის, საძირკის სახელია, რა შუამა ხის ვეგრო“ (ქ. ა. უაზროლ ზედმეტა – მ. ბერიძე) არ ვიცი ტოპონიმული-მეტყუებელი მდგომარეობა რატომ ფიქსირდება ამ ციტატაში. მე მკითხველს უყენე, რომ ავაზანი დაერქვა მხოლოდ წყაროს, ხოლო ავაზანა, ან მატოპონიმული ფუნქციის გამო შეიძლება დაერქვას მის გარშემო ტერიტორიებს. ეს ასეც არის მოცემული შემთხვევაში. განსაკუთრებით „მთამეტყუადია“ ბატონი ვ. სამსონიძის მსჯელობა, როდესაც იგი იქრება ლინგვისტიკაში და აკეთებს აკვადტულ დასკვნებს. მოვიყვანე ციტატა ჩემი წიგნიდან: „ავაზანი ტატანისში კიდევ ერთ კომპოზიტურ სახელიმ ვეხედება – ოთხავაზნი. ასე უქვია წყაროსა და მის გარშემო ყანებს. შინაარსი ასე უნდა ითხროს: რადგან რიცხვითი სახელი ურევია, ოთხი გვევა ყოფილა. ეს ამ კარა, მაგრამ მამინ ქართულსათვის უცნაური ფორმა იქნებოდა. რიცხვითი სახელი და მრავლობითი რიცხვი? ოთხ ავაზნიში ესე მრავლობითი რიცხვის ნიშანი ავაზნიების რაოდენობას, მის სიმრავლეს არ ასახავს. თავიდან წყაროსთან იდგა ოთხი ავაზანი (ვეგვა), ამიტომ ოთხავაზნი დაერქვა წყაროს. მოხდა ჩვეულებრივი მეტონიმი, როდესაც წყაროს

სწენი, მე მას ეს აზრი იმავე წერილში მოუწონებ. სამწუხაროდ, ოპონენტი პოზიტიურს ვერაფერს ხედავს სხვათა ნათქვამში. როგორ გავხედე, რომ დავაფიქსირე გუმის ეკლესია!! კარგია ხომელობა, კარგია ტატანისელობა, მაგრამ უხერხულია, სხვათა აზრების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება.

წერს, მე მას ეს აზრი იმავე წერილში მოუწონებ. სამწუხაროდ, ოპონენტი პოზიტიურს ვერაფერს ხედავს სხვათა ნათქვამში. როგორ გავხედე, რომ დავაფიქსირე გუმის ეკლესია!! კარგია ხომელობა, კარგია ტატანისელობა, მაგრამ უხერხულია, სხვათა აზრების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება.

ამონაბეჭდის ფაქტს რატომ ვებულობს ასე მამინ, როდესაც სტატუსი, რომელიც მის შესახებაა სოფელი, პატრიისცივის გარდა არაფერი არც მთავლობისა და მსგავს რამეს ვერც ითვობ, როგორც ფაქტს, პატრიისცივი ოპონენტი. საქმე იმაშია, რომ აზრთა სხვადასხვაობა უპატრიისცივლობა არ არის, უპატრიისცივლობა სხვის აზრის კატეგორიული მოუღებლობა.

ფაქტებისა და კვლევების ვ. სამსონიძისეულ შეფასებებს შემდეგ შევხვებით. ამგვარად გვეჩვენა ერთ არასწორი წიგნიდან: „ავაზანი ტატანისის ავაზანა, რომელიც სოფლიდან ჩრდილოეთის მხარეს, 16-17 კილომეტრზე მდებარეობს, მ. ბერიძის არ უნდა უქონდეს ნაწინა, ის ვიღაცის არასწორ ინფორმაციას იმეორებს“.

კიდევ ერთი: ვ. სამსონიძის აღიზანებს ვინმეს მიერ ტატანისის შესახებ საკუთარი აზრების გამოთქმის ფაქტი. საამისოდ „მტკიცე“ არგუმენტი აქვს მას. ილიას პერიოდში რომ ვინმართი, ამას იმდრო აკეთებს, რომ ტატანისი მისი სოფელია, რომ ის ტატანისეულია, რომ ტატანისი, ე.ი. მისი სოფელია და... ხელები შორს ტატანისისაგან. ასე იმდრო ვიქცევი, რომ, ვერ ერთი, ტატანისი ჩემი მშობლიური სოფელია, ბავშობა და სიყმაწვილე იქ გამოტარებია და, ალბათ, არავისგან უნდა მესხველებივლეს აქაურ ადგილთა სახელების სწორი წერა – ნარმოთქმა, მეორეც – არ მინდა შევცდებოქ შეიღვინებ. „ჭაბრების და სახლები“ არამარტო მკითხველები, არამედ მისი ავტორიც, დღეს ყველაფერს პრივაციაცა ხდება, მაგრამ, ვფიქრობ, უხერხულია საანა-

ავაზანი მხოლოდ გვევა არ არის, იგი სარიტუალო დანიშნულების ქორქლად გამოიყენებოდა არა მხოლოდ ქრისტიანობის უამის, არამედ ნარმარობის დროს. მოვიყვან ახოკრიფული ლიტერატურულიდან მ. ანდრონიკაშვილის მიერ დანიშნული ციტატა: „ეგდა თორწესა ავაზანი დიდი, და მას ზედა დაკლიან კაცნი და შიადინ სისხლი იგი მათი მას ავაზანსა და აღმოიღებედ მას სისხლისაგანსა და სუმედ და მოხუნედ კაცი იგი და მომწყარნი დასხნეს მას ავაზანს“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ორანული-ქართული ურთიერთობებდან, I, 1966წ. გვ. 218). ავაზნი, რომლებიც ადამიანთა სისხლს აგროვებდნენ და შემდეგ მიირთმევდნენ, ჩვენამდე შემორჩა ვაგახეთში.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

რაც შეეხება დლორას, ვივარაუდებ, რომ უფრო ძველი უნდა იყოს დლორა, მისი პარალელური ფორმა, რადგან ამ სიტყვის ფუძე შეიძლება დაფიქსირებული იყოს – დლორანა.

ნიგნის წარდგინება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ლიპარტიამ უკრაინის ელჩს საქართველოში იგორ დლოგოვსა და მის მოადგილეს ოლეგ პოკონენს უმასპინძლა.

ელჩმა ახლადარჩეული მერის ნაყოფიერი და ნარმატებული საქმიანობა უსურვა. როგორც იგორ დლოგოვმა აღნიშნა, მას ბორჯომთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს.

– „საუბუნებაზე მეტია, რაც უკრაინელები ბორჯომის ხეობაში დასახლდნენ. ყველაზე მეტი უკრაინელი დაბა ბაკურიანში ცხოვრობს. უკრაინელი და უკრაინელი ხალხის თანაცხოვრება საუკეთესო მაგალითია ორი ერის მეგობრობისა. სურვილი გვაქვს, რომ ეს კავშირი ჩვენი და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით კიდევ უფრო გააღრმავდეს,“ – აღნიშნა ელჩმა.

ლევან ლიპარტიამ თანამშრომლობისათვის სრული მზაობა გამოთქვა. მისი

თქმით, – ის ყოველთვის დაუჭერს მხარს ახალ ინიციატივებს, რომლებიც ორი ერის დაახლოებას შეუწყობს ხელს.

შეხვედრისას ელჩმა ახლადგამოცემული წიგნის შესახებაც ისაუბრა, რომელიც მეცნიერებათა დოქტორის ბორის სინოვსის მიერ გამოიცა და უკრაინელთა ბორჯომში გამოსახლების ფაქტებს ასახავს.

საუბარი შეეხო ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტსა და მის დამეგობრებულ უკრაინის ქალაქ მოლტავესთან ურთიერთობის საკითხს. მხარეები საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარებასა და უფრო მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე შეთანხმდნენ.

ვიზიტის ფარგლებში უკრაინული დელეგაცია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად წინდა ნიკოლოზის ტაძარსა და ტიმოთეუსების მამათა მონასტრის ესტუმრა.

საქართველოში მცხოვრებმა მეცნიერებათა დოქტორმა ბორის სინოვსმა ბორჯომისა და ბაკურიანის ეპისკოპოს ლაზარესა და სასულიერო პირებს საჩუქრად ახლადგამოცემული წიგნი უსახსურა. ავტორის თქმით, გამოცემა პირველად ამუშავდა ბორჯომისა და სამცხე-ჯავახეთის უკრაინული დიასპორის 170 წლიან ისტორიას.

მოგვხსენებთ, წიგნის წარდგინება დაბა ბაკურიანში, უკრაინულ დიასპორასთანაც მოეწყო.

ჭირსა თუ ღონისში ურთიერთობების სრული პარამონია, დღემდე სათუთად მოტანილი მეგობრობა, – ესაა ბორჯომში ქართველთა და უკრაინელთა თანაცხოვრების 170-წლიანი ძიების ისტორია.

ეს წარსულია, რომელიც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ თინიკურად მრავალფეროვანი პატარა ქალაქ-ბორჯომში საუკეთესო მაგალითია ტოლერანტობისა და ხალხთა შორის მეგობრობისა,

რომლის კიდევ ერთი ნათელი დასტურია ბაკურიანში გამართული ზემოთ მოხსენიებული წიგნის წარდგინება იყო, რომელიც უკრაინელთა ბორჯომში (1853-57წ.წ.) გადმოახსენების ფაქტებსა და უკრაინული დიასპორის სამცხე-ჯავახეთში დამკვიდრების ისტორიას ასახავს.

ბორჯომში მცხოვრები შექვიკოების, ბანდურების, მარტინეუკოების, გავეისისა და სხვა მრავალთა ისტორიები ავტორმა სათუთად შეკრიბა და მკითხველს დოკუმენტური მასალები პირველად მიანოდა.

ამაღლებულ იყო შეხვედრისას დიდი ბებებისა და ბაბუების მიერ მოყვლილი ძველი ამბები, მოყოლილი მათ მამაპაპათა მიერ, რომლებიც საკუთარი სამშობლოსთან აკავშირებდათ.

წიგნის ავტორმა წიგნის წარდგინების თითოეულ მათგანს საჩუქრად გადასცა ახლადგამოცემული წიგნი.

– „სამწუხაროდ, ძალზე მცირე დოკუ-

მენტური მასალა თუ შემოგონება. მრავალწლიანი მუშაობის შედეგად კი ბორჯომის მხარეთმცოდნეების მუზეუმთან და მის დირექტორთან ელბატონ ვიოლენტა ბახანაშვილთან ურთიერთთანამშრომლობით, შესაძლებელი გახდა მოგვეყვია ბევრი უნიკალური მასალა და ფართო საზოგადოებისთვის მიგვეწოდებინა.“ – განაცხადა წიგნის წარდგინების ბორის სინოვსმა.

დაბა ბაკურიანში მცხოვრებ დიასპორასთან შეხვედრა უკრაინის საელჩოს ინიციატივითა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის ორგანიზებით გაიმართა. წიგნის წარდგინებას საქართველოში უკრაინის ელჩი იგორ დლოგოვი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ლიპარტიამ, ბორჯომ-ბაკურიანის ეპისკოპოსი ლაზარე, მერისა და საკრებულოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

„წუთისოფელი რა არის...“ ხშირად, ძალიან ხშირად ჩაგვესმის ხოლმე ეს ხმა, მით უფრო მაშინ, როდესაც ადამიანი სიჭაბუკის ასაკიდან გადავა, უკან ჩავლილი დღეები მოგონებებად დარჩება და მომავალს, სიბერეს, კუმტად შეხედავს. თვალწინ კინოკადრებით გაივლებენ ხოლმე ჩვენი ბავშვობისა და ყრმობის ჩავლილი წლები და მოგონებები შეგვახსენებენ იმ ტკბილ დღეებს, რომელიც მამაზეციერმა გვინყალობა. ჩვენს მომავალ სავალ გზას კი ესტაფეტასავით ისევ ჩვენი შვილები

ადიგენში

ადიგენში, ჭულეს ახლოს, სოსნისთვალა გოგო სახლობს, ვინძლო, ვინმემ ხელი ახლოს, გადაუწვავ სამოსახლოს. ზარზმის ბოლოს, იქვე, ტაფობს, ატამს სახლურს, საკბენ-საპობს, სურნელეა ისე სჭარბობს, ფერთა ზღვაში ხევეებს ახრჩობს. გოგო ფიქრობს, ბიჭი დარდობს,

შალვა კელოშვილის ხსოვნის საღამო შესავალი სიტყვით გახსნა და დამსწრე საზოგადოებას ვრცლად ესაუბრა მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკის დირექტორი ეკა ბოჩიაშვილი. შემდეგ სიტყვა გადაეცა მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ზაქარია ენდელაძეს, რომლის უშუალო ინიციატივით გადაწყდა, – ღირსეული პატივი მიეგოთ შალვა კელოშვილისათვის და კულტურის სახლს მისი სახელი მიენიჭა. შემო-

ჭეშმარიტი პოეზია ყვერავია



გააგრძელებენ და ასე იტრიალებს ადამიანთა მოდგმა ამ დუნიაზე. დრო წარმავალია, იმედი – მარადიული...

არიან ადამიანები, რომელთა იმქვენიურ ცხოვრებაში გადასვლა, დრო ვერაფერს აკლებს, მათი სახელები წინ წამძვარებული სანთელივით გვინათებენ სავალ გზას, – თუ როგორ უნდა ვიღვანოთ, ვიცხოვროთ ისე, რომ ჩვენი წასვლით სანთელსაკმეველმა თავისი გზა არ დაკარგოს.

ღვთივკურთხეული, ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებული თითოეული პოეტის ნააზრევი, ჩვენს სულიერებას მალამოსავით ესალმუნება და ჩვენც იმავე გრძნობებით განგვანყობს ხოლმე, რა გრძნობებსაც შემოქმედი განიცდის. რაც უფრო ღრმად ჩანვდები მათ პოეზიას, მით უფრო დიდი სიყვარულით იმსჯელები მისდაში. იგი უხილავად შემოგატარებს სოფელ-სოფელს, ქალაქიდან-ქალაქს და ქვეყანას მოჰყენს თითოეული ლექსის სიღიადეს.

პოეტი სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობსო, – ამბობენ. ეს აქსიომაა, რომელსაც მტკიცება არ ჭირდება, რადგან მისი წიგნები განაგრძობენ სიცოცხლეს, მისი თითოეული ლექსი, პნკარედი, განგვიმტკიცებენ სიყვარულის გრძნობასაც და ტკივილებსაც გვიმსუბუქებენ. წიგნი მარადიული ცოცხალი არსებაა, რომელშიც თავად მისი შემოქმედის სულია ჩაკერული და როცა მას კითხულობ, შენში ხელმეორედ ცოცხლდება იგი და საკუთარ გრძნობებს გიზიარებს, მისეულად განგანყობს.

სამცხე-ჯავახეთში შალვა კელოშვილს უამრავი ადამიანი იცნობდა, როგორც შესანიშნავ პოეტსა და მსახიობს, ბრწყინვალე თამადას, მხატვრული კითხვის ოსტატს, პედაგოგს. მიუხედავად იმისა რომ იგი მხოლოდ ორი პოეტური კრებულის ავტორია, მხარეში, ალბათ, იშვიათია ადამიანი, ვისაც მისი ლექსები არ წაუკითხავს, არ დაუხეპირებია და ღრმად არ ჩასწვდომია პოეტის შემოქმედებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოეტის ლირიკა და პატრიოტული სულით გაჭლებილი ლექსები: „ცოტაც დაქალი და მერე“, „ღმერთო, მაცოცხლე საქართველოში“, „იმერელო ჩარიდა“, „სხვები დანარჩენია“, „ბერ-მუხავ, ბერო მინდიავ“, „მესხეთი-ჯავახეთი“ და სხვ.

აქვე, საილუსტრაციოდ, არ შეიძლება არ მოვიყვანოთ თუნდაც ერთი ლექსი მაინც, რომელმაც, გამოქვეყნებისთანავე, მკითხველთა დიდი სიყვარული გამოიწვია და ბევრმაც გაიზიარა კიდევ:

ერთი ყვავის, ერთი ვარდობს, ისიც ნატრობს, ესეც ნატრობს, მათი ცრემლი ქვალოდს ადნობს. მზე გაზაფხულს ძუძუს აწოვს, ფუტკარი კი აპრილს თაფლობს, მე რად მანვიმს, მე რად მათოვს, ამისთანა გოგოს პატრონს. ადიგენში, ჭულეს ახლოს, სოსნისთვალა გოგო სახლობს, ვინძლო, ვინმემ ხელი ახლოს, გადაუწვავ სამოსახლოს.

ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაგბავრაში, გლეხის ოჯახში დაბადებულ-გაზრდილმა კაცმა, წარმატებით დაამთავრა ჯერ შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, ხოლო შემდეგ – გორის პედაგოგიური ინსტიტუტი და გარკვეული პერიოდი გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში იმუშავა, შემდეგ – ახალციხის სახელმწიფო თეატრში და არაერთი საინტერესო სახასიათო როლიც შეასრულა, ალბათ, ამ გზას რომ გაყოლოდა, იგი, დღეს, ცნობილი მსახიობიც იქნებოდა, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია და არც შემცდარა – შალვა კელოშვილი მომავალი თაობის აღზდის უკეთესობილეს სამსახურში ჩადგა და დიდხანს პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ქართული კულტურის დიდი სიყვარულის გამო, ამავდროულად, პოეტსა და საპატიო მოქალაქეს, ბედმა არგუნა მრავალი წელი ადიგენის რაიონის კულტურის სამსახურს ჩასდგომოდა სათავეში და დიდი მოქალაქეობრივი ვალი მოეხადა, – სამცხე-ჯავახეთის უძველეს კუთხეში კულტურის ეს სფერო სამაგალითოდ წარმოეჩინა მთელ რეგიონსა თუ ქვეყნის მასშტაბით. მან არაერთ დიდ, საშვილიშვილო საქმესაც დაუდო სათავე, ამიტომაც იყო, რომ „ღირსების ორდენით“ აღინიშნა ქვეყნის წინაშე მისი დამსახურება, ახლახან კი, შალვა კელოშვილის გარდაცვალებიდან თითქმის ორი წლისთავზე, მისი დაბადების დღეს ადიგენის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით დაბა ადიგენის კულტურის სახლს შალვა კელოშვილის სახელი მიენიჭა. ეს ღირსსახსოვარი დღე კი საზეიმოდ აღნიშნეს მაღლიერმა ადიგენელებმა.

რიალური დაფის სიმბოლური გახსნის ცერემონიალიც იქვე ჩატარდა, რომლის პატივი მასთან ერთად ერგო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მაკა ბერიძესა და ამავე უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს ბატონ მერაბ ბერიძეს. მუნიციპალიტეტის მერმა დიდი პატივი მიაგო რა პოეტის ხსოვნას, განსაკუთრებული აქცენტი გადაიტანა ქართული კულტურის განვითარების საქმეში მწერლობის როლზე; შალვა კელოშვილზე, როგორც შესანიშნავ პოეტსა და პედაგოგზე ისაუბრა მისმა მეგობარმა მერაბ ბერიძემ და უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ, რომლებმაც დიდი შეფასება მისცეს პოეტის შემოქმედებას და იქვე აღნიშნეს, რომ სამსუხაროდ, ასეთი ადამიანები განსაკუთრებით გვახსენდებიან მაშინ, როდესაც ისინი ამქვეყნიდან მიდიან, სიცოცხლეში კი მათ ნაკლები დაფასება აქვთ. პოეტის ცხოვრების ეპიზოდები გაიხსენეს მისმა მეგობრებმა – გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ, უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ნატო ყრუაშვილმა (რომლის უშუალო ინიციატივითა და მერაბ ბერიძის მხარდაჭერით ცოტა ხნის წინ გამოიცა შალვა კელოშვილის მეორე პოეტური კრებული), სოფელ ფხეროს საჯარო სკოლის დირექტორმა, პოეტმა ვლადიმერ ველიჯანაშვილმა; პოეტის თაყვანისმცემლებმა ირმა ქიმაძემ, ლუკა, ლიზი და ბარბარე ჩიხაძეებმა, ნინო ივანიძემ, მაგრა სამხარაძემ ნაიკითხეს პოეტის ცნობილი ლექსები. კულტურის სახლთან არსებულმა მუსიკალურმა ჯგუფმა (ხელმძღ. თემურ მაისურაძე) და ვაჟთა მოცეკვავეთა ანსამბლმა „ზარზამ“ კი ქორეოგრაფიული ნომრები წარმოადგინეს.

დასასრულს მოწვეულ სტუმრებს მიესალმნენ და ღრმა პატივისცემა გამოხატეს თითოეული მათგანისა და, განსაკუთრებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და პირადად მერის – ზაქარია ენდელაძის მიმართ პოეტის მეუღლემ მერი ოკოშვილმა და მისმა ვაჟმა – დავით კელოშვილმა.

შალვა კელოშვილი „სიყვარულით მთვრალი“ გადავიდა მარადიულ სასუფეველში და გვეჯერა, მის ლექსებს ვერას დააკლებს დრო, რადგან ადამიანები მიდიან, ჭეშმარიტი პოეზია კი რჩება.

აშთანდილ მესხი

კლასონ ზუმბაქი საფლავი ტყეში

(ბალადა)

სოფელ საყუნეთის სამხრეთით, ელაზის ტყეში, არის საფლავის ქვა ასეთი წარწერით:

იმერეთიდან მომავალი ელაზს მოველით კვალითა, ჯერ შვილი ხანჯლით მომიკლეს, მე მაცქერინეს თვალითა, ბევრი ვეხვეწე მტარვალთა, რა უნდა მექნა ძალითა.

1882 წ.

ახლა, როცა თქვენს საფლავთან ვდგევარ, ნაღვლიანად დამიხრია თავი, ალბათ, თქვენზე მგლოვიარეს ვგევარ, რომ გულს მიკლავს თქვენი ბედი შავი.

იმერეთში გქონებიათ ბინა, იქ გელოდათ ხუთი შვილის დედა, მესხეთის გზას გაჰყოლიხართ წინა, ამ სიშორეს რა გინდოდათ ნეტავ?

იქნემ, იმ წელს, გვალვა იყო მწველი, მინამ ველარ დაგიფასათ გარჯა, უწყლობისგან გადაიწვა ველი, სასიმინდეც ცარიელი დაგრჩათ.

გაჭირვება მოელოდა წერიშვილს – დაივიწყე ქეფი და ლხინი, ფიქრობდი, რომ აიცდენდი შიმშილს სტუმრისათვის შენახული ღვინით.

გაზაფხულზე მარნის კარი გახსენს, გახსენს ღვინით ავსებული ჭურჭი... გული ლხენდა სიხარულით სავსე, გექონდა ღვინო, – განდებოდა პურიც.

ცხენს ტიკებმა დაუდრიკა წელი, გამგზავრეთ შენ და შენი ვაჟი, მესხეთამდე გზა გელოდათ გრძელი, და ათასი გასაჭირი – გზაში.

დღისით ოფლად იღვრებოდი სიცხით, ღამით გზები განამებდათ მრუდე, უკან დაგრჩათ მაღალი მთა ლიხის – ყაჩაღთა და ავაზაკთა ბუდე.

ცივი ჭადით კუჭს ივსებდით მშვიდს, გზამ და ფიქრმა დაგიკარგათ ძილი, ქვიშხეთიდან აიჩქარეთ ძლიერ – საყუნეთში მოსვლა გწადათ დილით.

ირიყრაჟა, დილა დადგა მშვიდი, მზის ამოსვლას შეჰხაროდი ორნი, მტკვრის ნაპირთან არ დაგიხვდათ ხიდი და მდინარე გადალახეთ ბორნით.

სოფელს გასცდით, მოკლე გზები ნახეთ, – ასპინძისკენ მოგიწევდათ გული, აღმართები მიიჩინეთ ვაკედ, ირგვლივ იყო მდუმარება სრული.

თითქოს სიოც არ იძვროდა ტყეში, სათიბებშიც კაცი არსად ჩანდა, მაგრამ როგორც უცვარი თქეში თავს დაგესხათ ყაჩაღების ბანდა.

ცხრა თათართან რას იზამდით ძალით, ჯაყვა დანაც არ გეჭირათ ხელში... ტანჯვით სიკვდილს უტყვეროდით თვალთ, უძლურთ ცრემლი გეჩრებოდათ ყელში.

ვერავებმა არ ისმინეს ხვეწნა... ჟრუანტელმა დაგაიარა ტანში, მაშინ, როცა სისხლის მსმელმა მხეცმა ხანჯლის წვერზე წამოაგო ვაჟი...

სიმწრით თითქოს შეგემატა ჯანი, მტერს კბილებით გაუმწარე სული, მაგრამ სხვებმა დაწყევლილი დანით ნაჭერ-ნაჭერ დაგიფატრეს გული.

არ დაგცალდათ ტკბილი კერის ნახვა, მტარვალებმა მზე ჩაგიქრეს დილის... ორფოლაში, თქვენს საფლავზე ახლაც ლოდი დევს და ხარობს ბუჩქი თხილის.

მეც იმ ბოლო თხილის ბუჩქთან ვდგევარ, ნაღვლიანად დამიხრია თავი... ალბათ, თქვენზე მგლოვიარეს ვგევარ და გულს მიკლავს თქვენი ბედი შავი.

ან დაქუცმაცებულ-დაკინებულ, ოდესღაც დიდებულ მესხეთში ცხოვრობდა დიდად გავლენიანი ქვეყნის გამგე ფაშა, რომელთანაც მრავალი წლების განმავლობაში მზარეულთა ემსახურებოდა ცხოვრებაში გამობრძნეული, დინჯი ნებისყოფის, გონიერი ივანე.

ფაშას მოსწონდა ივანეს გონიერი, წინდახედული, შორს გამჭვრეტი მოქმედება, ამიტომაც შესაფერი პატივისცემით ეპყრობოდა ივანეს. ხშირად მოუმართავს ფაშას ივანესათვის რჩევასათვის, რომელიმე საქმის შესახებ, როცა ეს შეეხებოდა ადგილობრივ ადათს, ზნე-ჩვეულებას და სხვათ.

ივანეც მოფიქრებით მოახსენებდა შეკითხულ საგანზე შესაფერ პასუხს.

ფაშა კმაყოფილი იყო ივანესი და რომ ვალ ქვეშ არ დარჩენილიყო, ივანეს ერთგულ და გონიერ სამსახურით, ხშირად ეტყოდა: ივანე ჩემო, მენი ევდენ ერთგული და გონიერ სამსახურისთვის ასეთი დიდი ხნის განმავლობაში შეუმცდარ შრომისა გამო, მსურს სიკეთით გადაგიხადო შრომა, გაგაბედნიერო, - "ჩირალი" გაგხადო.

ასეთ ლიტონი სიტყვით დაპირებაზე ივანეც მოახსენებდა მადლობას.

მუსულმანთა დიდი ბაირამის შესახებ დიდი სამზადისა ფაშას სასახლეში, განსაკუთრებით - სამზარეულოში. გამოცდილმა მზარეულმა ივანემ წინასწარ დაამზადა ყოლიფერი სასუთრო, დიდი ბაირამის შესახებ დიდად.

დადგა დიდი ბაირამის დღე. ივანე ცდილობდა დაამზადოს გემრიელი, მრავალფეროვანი, უხვი სადილი. დიდ ჯამში, დღის ნამაზის შემდეგ, ფაშას სასახლეში იყიწო წარჩინებულ სტუმრების დენამ: ფაშების, ეფენდების, მოხელეების და მოქალაქეების. ყველა სახეგარზნიყინებულ ულოცავს დიდ-ფაშას დღესასწაულს, დაიდ ბაირამს.

მილოცვას ალაზათებს ხოტბა მასპინძლის მიმართ, საამო სურნელოვან სასმისების ჩატუბარუნებით და, ამ ზემოთისთვის გამონახული მონვეული სახელოვანი მომღერალ-მულტრობნი, რომელნიც ეშხით აღსავსე პანკვლს უკრავდნ თარ-ჭიანურზე და ტკბილათ მღერიათ ნეტარ გრძინობათა აღმძვრელ ეშხით შეზავებულ პანკვლს.

ჩვეულებრივ, ადათისამებრს, დაავს სუფრა... დაალაგეს მსუყე ნამცხვარი, სასუკვარი საუზმები, მრავალნარი გემრიელი საქმლები სცვლიან ერთი მეორის... შეხმატკბილული მასლათი, ხოტბა, კამათი და... მოხდენილი მკვირცხლი როკვაა...

შუა სადილმა რომ გადაიარა, ნასიამოვნები, გემრიელათ დაპურებულ სტუმრები რომ ოდენა მიყუჩდნენ, - თითქოს შეისვენესო, - მზარეულმა ივანემ, ორი მსახურის დახმარებით, შემოიტანა ხის ორ დიდ შამფურზე ნამოცმული შემწვარი ცხვარი - "ყარს-ქიაბაბი", რომელსაც ომბიგარი ასდიოდა. მის დანახავზე ზოგიერთ სტუმარს პირში ნერწყვი შეუგუბდა ნამეტყანი ნდომისაგან და დამსწრე სტუმრებმა ერთ-ბაშად შესძახეს:

- ბარაქიალა, აშვი-ბაშ ივანე, ბარაქიალა!..

ივანემ თავდახრით მოახსენა მადლობა სტუმრებს.

ამით დიდად ნასიამოვნებ მასპინძელ ფაშას გაახსენდა, რომ შეპირებული ვალი - "ჩირალი" გახადოს, გააბედნიეროს.

რეზული ვალი - "ჩირალი" გახადოს, გააბედნიეროს.

ეს დაპირება ფაშამ სცნო ამ ზემოზე შესაფერისათ, მიზანშეწონილათ. იქ მყოფ სტუმრებს მიმართა: დიდად პატივცემული დარბაისელნო. ეს ჩვენი ერთგული მზარეული, მოამაგე ივანე, ოცი წლის განმავლობაში სინდისიერათ და მხნეთ გვემსახურება ოჯალში. რამდენადაც ის კარგი მზარეულია, უფრო, უაღრესათ, ათეულათ და ასეულათ მეტათ გამობრძნეულია ცხოვრებაში, ქვიანია, მხნეა, მედგარი, მტკიცე ხასიათის და ნების-ყოფის პატრონია... მე და ჩემი ოჯალიც დავალიანებული ვართ ივანესაგან და არა ერთხელ მითქვამს მისთვის, რომ "ჩირალი" უნდა გავხადო ივანე. ვსვამ ივანეს სადღეგრძელოს და აქ ვალიარებ და მსურს შევასრულო ჩემი შეპირება ივანეს მიმართ "ჩირალათ" გახდომის.

- იაშასნ, იაშასნ. ბუფაშა ეფენდი! - ერთხმად შესძახეს სტუმრებმა. ივანეს სადღეგრძელოც შესვეს, რომ მასპინძელ ფაშასათვის არ ეწყენიებიათ.

მზარეული დეხნე

- ვერ გამომიძებნია ამაზე უკეთესი ჯილდო ივანესათვის - კვლავ განაგრძო მასპინძელმა ფაშამ, - რომლითაც უაღრესათ ბედნიერი იქნება ჩვენი ერთგული მზარეული ივანე, როგორც სააქიოს პატივმოყვარეობით, ეგრეთვე საიქიოს იქნება უკვდავი...

ივანე დინჯათ და ჩაფიქრებით უსმენდა ფაშას...

- პატივცემულნო ფაშებო და ეფენდებო! ჩვენი ივანე, ჩემდა სამწუხაროთ, ქრისტიანია, რაც შეუფერებელია ასეთი კარგი კაცისთვის, როგორც არის ჩვენი მზარეული ივანე. ის მოკლებულია იმ ნეტარ საუკუნო სინმინდეს საიქიოს უკვდავ ცხოვრებაში, რაც აუცილებელია და მინიჭებული აქვს ყველა მუსულმანს ღვთის სწორის მოჰამედ ველამბარისაგან... ამიტომ, მსურს და ვურჩევ ჩვენს ივანეს, რომ მან დაუტეოს თავისთვის შეუფერებელ ქრისტეს რჯული და... მიიღოს წმინდა ისლამის რჯული. ამ კითხვს ქმედის დასავგირგვიტობათ მე მსურს ვიყო მისი პირველი ქირვანათლია და ვანათლებ ჯილდოთ ორ მოცდათ ოქროს - „მეჯიდის“ მისი წინადაცვეთის დროს! - დაათავა მასპინძელმა.

- იაშასნ, იაშასნ! ბუეფ ფაშა-ეფენდი (იცოცხლოს, იცოცხლოს, დიდმა ფაშა-ეფენდომ!), ვასამჯიბაში ივანე (ეგრეთვე მზარეულმა უხუცესმა ივანემ), - კვლავ გაიმეორეს სტუმრებმა.

იქ დამსწრე სტუმართაგან შეძლებულმა და წარჩინებულმა ზოგმა სტუმარმა მასპინძლის სასიამოვნოთ გამოსთქვა სურვილი, რომ მათაც სურთ გახდნენ ნათლია ივანესი და დაასაჩუქრებენ კიდევ.

ივანე თავჩაქინდრული, დინჯად ღღუმა... იქ დამსწრენი და მასპინძელი ფაშა მოელოდნენ, რომ აღდგონივანებული ივანე სასოებით განაცხადებდა თანხმობა-მადლობას.

სდუმს ივანე...
- ივანე, რათ გაჩუმებულ-

ხარ?!
თითქოს საღათას ღრმა ძილით შეპყრობილი ივანე გამოფხიზლდა და გონს მოეგო, მაღლა ასწია თავი, ღირსეული თავმოყვარეობით შეხედა თავის „მწყალობელ“ ფაშას, მჭერვი სიტყვით მოახსენა მადლობა და განაგრძო:

- არ მოველოდი ჩემი მწყალობელი ფაშისაგან ასეთ განუსაზღვრელ ნყალობას... ჩემი სიცოცხლე გამიტარებია ქრისტეს რჯულზე, რწმენაზე... ასე ანაზდად, მოუფიქრებლათ გადაწყვეტა ასეთ კითხვავა, ძნელია, ამიტომ ჩემთვის ვთხოვ დიდ ფაშას, მომცეს ხუთი დღე დრო მოსაფიქრებლათ.

- კარგი, კარგი, ჩემო ივანე, მოიფიქრე, - დეეთანხმა ფაშა და სტუმრებმაც კვერი დაჰკრეს - კვლავ განაგრძეს ზემი...

*
ფაშას სახლში ჰყავდა ცხვრის ზორდა ძალი - ბუნგო, კარგათ მოვლილი. ყოველ დღე უცდიათ კარებთან ფაშას, როგორც კი გამოჩნ-

დელი ბუნგო ლასლასით მიიყვანა ზღინავში, დაანვინა თივაზე...

თან ხლებულ სტუმრებით ფაშა მობრძანდა სასახლეში. სტუმრებთან მასლათში გართულმა ფაშამ ვერ შენიშნა, რომ მისი მეგობარი ბუნგო არ შეეგება მას.

ელოდა ბუნგოს კუდის ქიციხით ხლებას. ბუნგო არ ეახლა. ეს ხომ მოულოდნელი გამონაკლისია მისი საყოველთაო დღე გართობა-სადილის?!

უბძანა კარის მცველს:
- სად არის ბუნგო, შემოიყვანეთ აქ!

კარის მცველი სდუმს, ვერ ბედავს პასუხის მოხსენებას...

- არ გესმის, შე მხეცო, რას გარინდებულხარ?! - თან მრისხანეთ შეპყვირა მსახურს:

- ნაი, მომგვარე ბუნგო! მსახურმა კრძალვით მოახსენა:

- ბუნგო ავათ არის, წევს, კვეხის.

მოსამსახურეების დახმარებით, ხელში აყვანით, უმტკივნელათ მოიყ-

ივანემ.

- ხომ არ შეიშალე, ივანე? რას ამბობ? რა დაამაგა ბუნგომ, რომ ასე სასტიკად დასაჯე?

- ბუნგომ, არაფერი! - მიუგო ივანემ.

- მაშ, რა მიზეზია, რომ 20 წლის განმავლობაში, რაც ხანი შენ მემსახურებ, მუდამ გონიერ-წინდახედულს, ცხოვრებაში გამობრძნედილს, ასეთი აუჯი საქმე შეემთხვა? რათ ჰქმენ, ან რა მიზეზით? (ფაშამ და იქ დამსწრე სტუმრებმა დააჭყიტეს ცნობისმოყვარედ თვალები).

- მოგახსენებთ, თუ მომისმენთ! მე მსურს, ზოო ცხვრის ძალბო-ბუნგო გარდავქმნა, გარდავქციო ნევარ ძალბად, სანადიროთ რომ ნავა, კურდელეო დაიჭროს, ცოცხალი მომგვაროს. ბუნგო კარგ ნევრობას იქმს...
- ივანე, რას ჩმახავ! - გაფოთებული, გაცივებული თვალებ დაჭყეტით შებღვირა ფაშამ. ნამდვილათ შემოილი ხარ ჟჭუაზე, რო ეგრე უნხროთ რომაე! სად გაგონილა, ან ვის უნახავს, რომ ცხვრის ძალი გარდაჰქმნან-გარდააქციონ ნევარ ძალბათ?

- ფიე, - მიუბრუნდა ფაშა იქ დამსწრე სტუმრებს. თითქოს შესჩივისო მათ. თვალების მეკითხვით შეაჩერდა: ჟჭუაზე შემოილა, გაგიფებულა საბრალო ჩვენი მოამაგე ივანე. - აფ-უ-უ-ს! - ლმობიერი დანანებით თქვა ფაშამ.

- მე სრულ, საღ ჟჭუაზე და ნების ყოფაზე ვარ, დიდებულო ფაშამ! მხოლოდ, გთხოვ, მომიმინოთ. და განაგრძო ივანემ:

- როგორც თქვენ ბძანეთ, ცხვრის ძალის გარდაქმნა-გადაკეთება ნევარ ძალბად შეუძლებელია. რა ნევარი იქნება ის, რაფერ დაიჭროს ის კურდელეს? - როგორც ძალი ვერ დადსთობს თავის ჩვეულებას, ვერ გარდაიქმნება ნევარ ძალბად, ვერ დაიჭროს კურდელეს, ისევე ცხვრის დარაჯა ძალბათვე დარჩება. ეს ისევე სინამდვილეა, რომ ჟჭუათა მყოფი, ორმოცი წლის ადამიანი, რომელსაც მოდემით, თაობიდან-თაობაში, მრავალი საუკუნეების განმავლობაში და დედის გვამში ყოფნის ჟამს მშობლის ზნით გაუღენთოლ სისხლით ნასაზრდოებელს, დედის ხსენთან ერთად ზნე-რწმენა-ხასიათი ჩანანდავარმა ადამიანმა, რომ გამოიცვალოს რწმენა-რჯული, თუ რამ ის არ არის ზნეობრივ მეტაგი-გახრწინილი, მოვაჭრე სინიღისით, ამა თუ იმ ანგართ მოყვარებით, ან შიშით, ან კუჭის სიძუნისა გამო, ის იქნება გლისკი, ბოლნი, უნამუსო, გამოუსადეგარი, ყოველ საქმეში უფარვისი ისლამისთვის და ქრისტიანობისთვის. ასეთი ადამიანი არაა საიმედო დასაყრდენი, ის მოლაღატა... გამცემია... ასეთ ადამიანზე თქმულა:

"ზოგა კაცსა კაცუნა, ზოგა კაცსა კაცუნა! ზოგა ქალსა დედა-კაცი, და... ზოგ დედაკაცს ცაცუნა!"
მე კაცად გავჩენილვარ და მსურს შეუბღლავ კაცათ დარჩე. თავ-მომწონეთ დაათავა ივანემ.

ნაამობო ნინო მიორბის ასულ ასათიანისაგან, ჩანერილია ნიკო ასათიანის მიერ ახალციხეში 31 მაისი, 1932 წ. ახალციხის სახელმწიფო შუენულის ფონდი (ე. N 311) მოგვანოდა პრინტოლ ჯჰპარიქამ და ლეჰან ლაფაჩმა

კულტურა



ზაზუთა მეზობრობის ფასიანი სოხეთი

ამა წლის 17-18 მარტს სომხეთის ქალაქ ეჩმიადინმა უმასპინძლა ბავშვთა მეგობრობის საერთაშორისო ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობდა სომხეთის ქალაქებისა და რეგიონების ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები, ხოლო საქართველოდან - ახალქალაქისა და ნინოწმინდის სომხური და ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლები. მხოლოდ ნინოწმინდის სამუსიკო სკოლასთან არსებულმა ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედა“ წარადგინა ქართული ხალხური ცეკვები - „აჭარული“ და „ცეკვა ქართული“. ანსამბლ „იმედის“ მიერ შესრულებულმა ორივე ცეკვამ განსაკუთრებული მონივნება დაიმსახურა მაყურებელთა და ჟიურის მხრიდან, რომ ჩვენს მოცეკვავებს ოროჯერ მოუხდა ამ ცეკვების განმეორებით შესრულება.

სათვის დაჯილდოვდნენ ფესტივალის უმაღლესი ჯილდოთი - „გრან-პრით“, ხოლო ანსამბლის ყველა მოცეკვავეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები. ვსარგებლობ რა შემთხვევით, ვაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სამუშაოებით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ნინოწმინდის მერს ქალბატონ ანივარდ მოსოიანს გვერდში დგომისა და ანსამბლის ფესტივალში მონაწილეობის ორგანიზებაში განუხელი დახმარებისათვის. აქვე შეგინიშნავთ, რომ ქალბატონი ანივარდი ამ თანამდებობაზე არჩევის დღიდან დღეიდან იღვწის მუნიციპალიტეტში კულტურის დონის და, განსაკუთრებით, ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობების განმტკიცებისათვის.



მშობლია კომიტეტის სახელით, ამალია მღღუსიან, ენინოწმინდა



ჯავახის სევდა

ვერა მცნობულამ ჯავახსა?
სევდით ვარ დოვლათიანი,
დიდის ტყის, ბოლო ფესვი ვარ,
შემოვრჩი ინადიანი..

ძრინ მათრია ცხოვრებან,
ჭირი ჩემს ბანზე გალალდა,
რაც კი ღმერთ მოუგონია,
ყველა ტკივილი მანახა.

ხან ოშკი ტაძარ ვაგებდი,
ანბან კუმურდოს ესწავლომდი,
თამარის დროშას ვიცამდი,
ტარიელივით ვყვარონდი.

აუ, უთხარი, – გენატრულობ,
ჩვენს შალვას გავეყვე ბასიანს,
ხანძთას სანთლები დავანთო,
ვაზი ვახარო არსიანს!

ჩემი ნაგები საყდარი,
ჯამედ მიქცია მოლამა,
ტერტერამ ხარი შემოკრა,
ვაზმა ცრემლები მონამა...

არც ერთმორწმუნემ მამაკლო...
რუსმა მითეთრა ფრესკები,
ლამის ნარსული მავინყა,
ტკბილად მიმწარა ფესვები...

ცრემლებით ვრწყამდი ერუშეთ,
ვაგსე ფარავნის სანახი,
დარანში ჩუმად ვილოცე,
არ მწამს მტრისა და ალაჰის...

ყველ დილით ნისლი აბულის,
იმედ თავიდან ალაღემს,
სპარსი, მონღოლი, ოსმალა,
ნივი გორებად ვალაგე.

შემოვრჩი ინადიანი,
გადმიტანია ზვირთები,
მესხთა ტყის ბოლო ფესვი ვარ
მამრწყე და გავიკვირტები...

მამენატრა

მამენატრა ყრმობი წლები,
ჯავახეთის ზეგანი,
მომღიმარე მამაი და
ახალგაზრდა დედაი.

მამენატრა თუთი ბალი,
ნისლი აბულ ასული,
ფურნი პური მამენატრა,
ზედ ბაქმეზი წასმული.

ვერცხლი ფერი სამსრი ქედი,
დაჩეხილი სერები,
ოქროფერი დიკი ყანა,
ერუშეთის ქელები.

მამენატრა, ზამთრი ოდა,
ნივის ცეცხლი, ლამპარი,
ბაბოი რომ მოჰყვებოდა, –
ჰექიათი -ზღაპარი.

მამენატრა ღიმის კრეფა,
ძველი ჭაჭკრი მარანი,

ქამრობანა, ლორჯაობა,
იდუმალი დარანი.

ჰანი, გახსომთ ლეგენდები?
მეციხოვნის თამაში,
ჰანი, ცელსაც ვიდან ჰქვევრამს,
ნარიანის ჭალაში?..

პაპის -პაპი გამოთლილი,
საყდარ ცვივა ლოდები,
დაბზარულან ციხეები,
დაქცეულან ოდები.

ჰანი, აღარც ბაბოია,
გულში სიმი ჩამინყდა,
ერთი ნატვრა შემეჩა, ღმერთო, –
ბავშობაში წამიყვია....

ავაგუზგუზოთ დარბაზი,
ნივით გავათბოთ ოდები.

ნისლმა დამალა ნიალა,
კოთელია და სამსარი,
ყორა და მთებმა მაიგდეს,
მარტამდე თეთრი ფაფარი.

იძინამს ყანაც, კალოცა,
უბერამს გიფი აბქარი,
იშტა, ოდებში გუზგუზამს,
ნივის ცეცხლი და ლამპარი.

ჩემი ყისმათი ყოფილა,
დიდრონი თოვლი დასტვია.
დაასხა? პური, არაყი, –
გაზაფხულამდე აქ გვგვივარ!

ჰაიდე, წავიდეთ ჯავახეთ

ჰაიდე, წავიდეთ ჯავახეთ,
ჰაიდე, ინადი რად გინდა?
ჰაიდე, აბულზე ავიდეთ,
ოცნებებ დავხედოთ მაღლიდან.

ჰაიდე, ფარავან ავუყვეთ,
ფოკაში შემოვკრათ ზარები,
წუნდის ტბას რომ ნახამ, მიხვდები,
რად ვყარობ, ბოჩოლა თვალები.

ჰაიდე, ხერთვისი განახო,
მადლ ვეტყვი, ღმერთ ჭაჭკრი მარანთან,



ფოტო კუქური მეტრეველისა

ერთი კონა მამინდა

რა ღირან, იეგ შენი ღიმილი?
რა ღირან, იეგ ერთი კონცა?
არ შევლამს, ვარძიას შეთქმული,
ოშკში და ხანცთაში ლოცვა.

რა ღირან? ძრინ, ძრინ ძვირია?
ყველაფერ გავიღემ, გჯერამს?
ერთი კონცა მინდა და მერე
მირაშხან შევედგები ზერად.

გულად მაქვს ნიალის აბქარი,
ფვიცულამ ჩემს მთებს და ხეებს,
ყველ გულიანი ჯავახი,
ყველაფერ დაგითმობ მერე...

ჯავახეთ გამოვიკეტე

ძრინ მოთოვა ჯავახეთ,
დიდრონი ფიფქი დასტვია,
ჰანი, შორ დამრჩა ქალაქი,
გაზაფხულამდე დამტვია.

ველარ იძვიამს კაი ხან,
ველარც ფარა და ნახირი,
ჰაიდე, უკან ჭალიდან,
ვიცი გაოთნა მარხილით.

დაჰფარა თოვლმა ბალანთა,
ჯანჯღიხევი და ლოდები,

მაჰატიე, დედიჯან!

დედაი ძრინ ვატირე,
სახლში ვერ გამაძლებინა,
რაგორც ქვეყანას დასჭირდა,
სიკვდილიც გამაბედინა!

იქ წაველ, სადაც გვიჭირდა,
იქ ვიდექ, სადაც გვტკიოდა,
სხვა კუთხის შეილებთან ერთად,
მესხური სულიც ყიოდა!

რაგორც შამეძლო, ვიომე,
შევხდი სიკვდილსაც ღიმილით,
შვილების ნაცვლად დავტვიე,
სიამაყე და ტკივილი,

მოხუცი მამა ვატირე,
შავად შევმოსე დედაი,
რანა ვქნა, გაგიგონიათ?
ომში შინ იყვეს მხედარი.

მაინც ჩვენია სოხუმი!,
მაინც ჩვენია ცხინვალი!
ვერ დაგვაშორამს ჩვენს ძმებთან,
ცრემლის და სისხლის მდინარით!

დედაჯან ნულარ იტირამ,
დედი, დასძლიე ტკივილი,
ოსის და აფხაზ დედებთან,
მინდა შენც გნახო ღიმილით...

ფურნეს აგუზგუზამს ძალოი,
ყირაზე დავგვხედება ბალანთა.

ჯვარი დავინეროთ ფოკაში,
ჩვენც გავხდეთ ყისმათი პატრონი,
ნისლიან ტაბანყურ წავიდეთ,
დავჰკრიფოთ ღიმი და ატოლი.

ჰაიდე, ჯავახეთ წავიდეთ,
არ გინდა, ინადი, ჰაიდე,
ძრინ მოკლეა ცხოვრება,
დროს ნულარ დავკარგავთ, ჰაიდე!..

*მთქმელი ბიორგი ბერიძე,
ახალციხე, სოფელი მინაძე*

„ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია მადლობას უხდის შპს CO₂+ -ს დირექტორს ბატონ ავთანდილ ბელაძეს გაზეთის მიმდინარე ნომრის აწყობა-დაკაბადონების საქმეში გაწეული ფინანსური დახმარებისათვის.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: WWW.SCFI.CO; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

<p>ღამთაქანაზღაბი:</p> <p>ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე</p> <p>სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17</p>	<p>გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს</p>	
<p>კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის</p>	<p>რედაქტორი ავთანდილ ბერიძე</p> <p>სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი</p>	<p>გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში.</p> <p>მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.</p> <p>ტელ: 2 94-14-32</p>	<p>რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit.mshti@gmail.com lit_meskheti@yahoo.com</p>